# საერთო გაზეთი

№17 (567) • 17 ივნისი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი



**ელიზბარ ჯაველიძე:**

## საკმარისია ბიძინა ივანიშვილი წავიდეს საქართველოდან და ეს ქვეყანა იმდღესვე დამთავრდება...

## დამოუკიდებელ საქართველოს ირაკლი ღარიბაშვილზე უკეთესი თავდაცვის მინისტრი არ ჰყოლია!



## „რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება“

როცა ხუთგზის ნასამართლევი, ჯორჯ ფლოიდი ლამისაა წმინდანად შერაცხონ, რატომ არ შეიძლება ჟორიკა რურუა პოლიტპატიმრად გამოაცხადონ

## რატომ სურს 13 ამერიკელ კონგრესმენს დაამტკიცოს, რომ პუტინი საქართველოს მტერი კი არა მეგობარია?

## რატომ დამალა ნიკა გვარამიამ, რომ გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ შეკვეთილი მკვლელობა მზადდებოდა?!





**ამისთვის ვცოცხლობ, ამისთვის გავძელი ამდენი ხანი** – მინდა მთელ საქართველოს გავაგებინო, ვინ არიან ის ჯალათები, რომლებმაც დედ-მამა და ხუთი ძმა მომიკლეს

## „პოლიტპატიმრები“ ნაციონალურად













**ნიკა ბერიძე:**

ნაცმოძრაობის დროს 1200 პატიმარია მოკლული

სააკაშვილს დავით გარეჯის გაყიდვაზე ხელი აქვს მოწერილი

## სამში ერთი, ანუ ტყუილების შემგროვებელი „ჭუტავიზიიდან“

## როგორ შევქმნათ ადამიანისგან „არაადამიანი“, ანუ ადამიანის ჭამა, როგორც ნორმა

# რატომ სურს 13 ამერიკელ კონგრესმენს დაამტკიცოს, რომ პუტინი საქართველოს მტერი კი არა მეგობარია?

**ვახტანგ ხარჩილავა:**

კოლექტიურ წერილებს, ცხადია, კოლექტიურად არ წერენ. მას ერთი წერს, დანარჩენები კი ხელს აწერენ.

ილფი და პეტროვი ხომ გსმენიათ? ორივე ერთად კი არ წერდა — წერდა მხოლოდ ერთი, მეორე კი რედაქციებსა და გამომცემლობებში დარბოდა.

ამ 13 ამერიკელი კონგრესმენის კოლექტიური წერილის შემთხვევაშიც უსათუოდ ასე იქნებოდა — ერთმა დაწერა, დანარჩენებმა კი ხელი მოაწერეს და, როგორც ჩანს, ზოგიერთმა ისე მოაწერა ხელი, არც კი წაუკითხავს, რა ეწერა შიგ.

კოლექტიური წერილების სპეციფიკაა ეს, რომელიც ფსიქოლოგიურ მომენტებთან არის პირდაპირ კავშირში — როცა კოლექტივში ხარ გათქვეფილი და მის ნაწილს წარმოადგენ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობა გიჩლუნგდება და ჯოგური ინსტინქტებით მოქმედებ.

როცა კოლექტიური წერილები პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე იწერება, ეს საბჭოთა გადმონაშთად და ავტორიტარული რეჟიმებიდან გადმოყოლილ ინსტინქტებად ითვლება, მაგრამ, როცა კოლექტიური წერილები ამერიკის კონგრესში ან ევროპარლამენტში ითხზვება, ეს დემოკრატიაა თურმე.

არა, ბატონებო, აქაც და იქაც ერთი და იგივე უბედურებაა ეს და აქაც და იქაც ერთი და იგივე სახელი ჰქვია.

როცა რაღაცას ამბობ, ან რაღაცას წერ, იმაზეც ხომ უნდა დაფიქრდე, შენმა ოპონენტმა როგორ შეიძლება გაშიფროს ეს შენი ნათქვამი თუ ნაწერი და შენი ნააზრევი შენს საწინააღმდეგოდ უკან არ შემოგიტრიალოს ბუმერანგივით.

როგორც ვთქვით, როცა კოლექტიური წერილები იწერება, ეს პერსონალური პასუხისმგებლობის გრძნობა ჩლუნგდება და ადამიანი სიფრთხილის და წინდახედულების გრძნობას კარგავს.

დარწმუნებული ვარ, იმ 13 კონგრესმენს ერთად, „კოლექტიურად“ კი არა, ცალ-ცალკე რომ დაეწერა ეს წერილი, არავითარ შემთხვევაში არ ჩაწერდა იმ ავატურისტულ, მაპატიეთ გამოთქმისთვის და, იმ სულელურ ფრაზას, რომელიც ამ ჯგუფურ თხზულებაში წერია: „ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს უმდიდრესი ადამიანი, ვლადიმირ პუტინის ახლო მოკავშირეა და რუსეთის მხრიდან საქართველოს დესტაბილიზაციაშია ჩართული“.

ცხადია, რამდენი სიტყვაც არის ამ წინადადებაში, იმდენი ტყუილია, მაგრამ, მოდით, თავი დავანებოთ დასკვნის წინასწარ გამოტანას და დეტალურად გავშიფროთ და გავაანალიზოთ ამ წინადადების შინაარსი და ქვეტექსტი.

როცა ამას გავაკეთებთ, აუცილებლად მივალთ საოცარ აღმოჩენამდე — პუტინი საქართველოს მტერი კი არა საქართველოს ერთგული მეგობარი, მისი კეთილისმყოფელი და ფარული გულშემატკივარია თურმე და ვინ გვეუბნება ამას? ვინ გვეუბნება და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ს კონგრესის 13 წევრი.

სანამ პუტინამდე მივალთ, მოდით, ჯერ ის გავარკვიოთ: ვინ არის და რას წარმოადგენს პუტინის „ახლო მოკავშირე“ ბიძინა ივანიშვილი?

ვინ არის და უდიდესი ქველმოქმედი, რომლის ბადალი საქართველოს თავისი არსებობის მანძილზე არ ჰყოლია.

სამმილიარდნახევარი დოლარი აქვს საქართველოში საქველმოქმედოდ დახარჯულიდა იმ 13 კონგრესმენის ლოგიკას თუ მივყვებით, ბიძინა ივანიშვილს ეს ყველაფერი თავის „ახლო მოკავშირესთან“, პუტინთან ხომ უნდა შეეთანხმებინა და მასთან ერთად, პუნქტობრივად, ხომ უნდა გაეწერა სად და რაში უნდა დაეხარჯა ეს მილიარდები?

და აქ ჩნდება ძალზე საჩოთირო და უხერხული კითხვები: ის საქმეები, ის პროექტები, რომელთა განხორციელებაზეც დაიხარჯა ეს მილიარდები, რაში უნდა აინტერესებდეს პუტინს?

მათი მოლანდებით, ალბათ, პუტინი ურეკავდა ივანიშვილს და დირექტივებს და დავალებებს აძლევდა: ბრატან, ერთი სამების ეკლესია აუშენე ქართველებს, თუ კაცი ხარ. ჩემი ხათრით იმ 600 ეკლესია-მონასტერსაც ჩაუტარე რესტავრაცია — არ დაინგრეს და არ გაცამტვერდეს ეს უძველესი კულტურის ძეგლები და სირცხვილი არ ვაჭამოთ. თეატრებსაც მიმიხედე, განსაკუთრებით ოპერის თეატრის ბედი მაღელვებს. მწერლებს, მსახიობებს, მხატვრებს, სპორტსმენებს, მუსიკოსებს, ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს სტიპენდიები დაუნიშნე უნივერსიტეტის 1@კორპუსი არ გამოგრჩეს. საავადმყოფოები, სკოლები, სტადიონებია ასაშენებელი და ფული არ დაიშურო, აუცილებლად ააშენე. გზადაგზა კიდევ სხვა დავალებებს მოგცემთ და აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო. ტყუილად ხომ არ ვართ ახლო მოკავშირეები?

წერილის დამწერები და ხელისმომწერები, ალბათ, დასაშვებად მიიჩნევენ, რომ ივანიშვილსა და პუტინს შორის ასეთი საიდუმლო „პერეგავორები“ ხშირ-ხშირად იმართება და ივანიშვილის მიერ საქართველოსთვის და მისი მოქალაქეებისთვის გაკეთებული უამრავი სიკეთე სწორედ პუტინის დასტურით და თანხმობით ხდება (აბა, ივანიშვილი „უახლოეს მოკავშირესთან“ დათათბირების გარეშე ხომ არ იმოქმედებდა) თუმცა აქვე ჩნდება ძალზე საჩოთირო და უხერხული კითხვები: რაში უნდა აინტერესებდეს პირადად პუტინს ივანიშვილი საქართველოში ტაძრებს, თეატრებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სტადიონებს და საავადმყოფოებს აშენებს თუ საქართველოს მოქალაქეებს სტიპენდიას დაუნიშნავს? რა სარგებელი ამით პუტინს და ოკუპანტ რუსეთს?



ცხადია, არაფერი!

ამასაც რომ თავი დავანებოთ, ივანიშვილი საქართველოში ქველმოქმედებას და მეცენატობას იმ დროსაც ეწეოდა, როცა პუტინი რუსეთის პრეზიდენტი კი არა უშიშროების სამსახურის რიგითი ოფიცერი იყო.

ივანიშვილის მიერ განხორციელებული უამრავი პროექტიდან არც ერთი, ვიმეორებ, არც ერთი არ არის ისეთი სახის, რომელსაც შეიძლება რაიმე შეხება ჰქონდეს რუსეთის სახელმწიფო ინტერესებთან.

უფრო მეტიც, ამ რვა წლის განმავლობაში, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაშია, რუსეთთან მიმართებაში, არ გაფორმებულა არც ერთი ისეთი დოკუმენტი, რომელიც რაღაცით დააზიანებდა ქართულ სახელმწიფოს და ახეირებდა რუსეთს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში საქართველო ევროკავშირის ასოცირებული ქვეყანა გახდა და კიდევ უფრო გააძლიერა სწრაფვა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებისკენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, არანაირი ნიშანი, არანაირი საფუძველი იმისა, რომ საქართველომ თუნდაც ოდნავ გადაუხვია პროდასავლურ კურსს, ბუნებაში არ არსებობს, ისე, როგორც არ არსებობს პუტინ-ივანიშვილის ახლო მოკავშირეობის და თანამშრომლობის არანაირი დამამატკიცებელი საბუთი.

რაც შეეხება იგავმიუწვდომელ სიბრიყვეს, რომ ივანიშვილი საკუთარ თავს და მის მიერვე სიმწრით ნაშენებ ქვეყანას თვითონ უწყობს დესტაბილიზაციას, ეს უკვე გონიერებისა და საღად აზროვნების ყოველგვარ ზღვარს გადადის.

როგორ შეიძლებოდა ეს აბსურდი ივანიშვილ-პუტინის მოკავშირეობისა და ივანიშვილის მიერ „თვითდესტაბილიზაციის“ მცდელობის შესახებ ისეთი ავტორიტეტული სტრუქტურის, რო-





„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

გორიცაა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის რესპუბლიკური კვლევის კომიტეტის ანგარიშში მოხვედრილიყო?

რას ემსახურება იგი? აშშ-ს გლობალური საფრთხეების პრევენციას თუ სტრატეგიული პარტნიორების, აშშ-ს და საქართველოს შორის ეჭვისა და უნდობლობის ჩამოგდებას, რაც თავისთავად ცხადია, სწორედ რომ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს.

ეს, სინამდვილეში, ბომბია, რომლის აფეთქება ორივე სახელმწიფოს დიდად დააზიანებს.

გამოითქვა ვარაუდი, რომ ეს ბომბი ამ ანგარიშში „ნაცმოძრაობის“ ამერიკელმა ლობისტებმა ჩადეს, ასე ვთქვათ, შეაპარეს თუ გააპარეს...

ბომბთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტი გამახსენდა...

გურული ქალბატონი ეკითხება გურულ ქალბატონს. ქმარი რომ გიდობს, ხელს კიდობ?

პასუხი: ვკიდობ, აბა, რა ვკიდობ? ეგება ბომბს მიდობს...

კელმა კონგრესმენებმა?

ნუთუ ის მაინც არ იციან, რა საშინელებები დაატრიალა „ნაცმოძრაობამ“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში?

არც ის იციან, ვინ არის ჟორიკა რურუა?

აკი, ყველაფერი იციან, ყველაფრის საქმის კურსში არიანო, გვიმტკიცებს გუბაზ სანიკიძე, ბრძენკაცის როლს რომ თამაშობს და სინამდვილეში ბრიყვი და ყეყეჩი რომ არის?!

ვერ გეტყვით, რა იციან და რა არ იციან ამერიკელებმა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ზედმიწევნით ზუსტად რომ იცის, ვინ ვინ არის, ეს წყალგაუვალი სიმართლეა.

ჰოდა, როცა ხალხს თვალში ნაცარს ვაყრით და შავზე თეთრიაო რომ ვუმტკიცებთ, არ არის ეს ხალხის შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება?

რას ითხოვენ და რა უნდათ საქართველოსგან — კიდევ ერთხელ შეასკდეს რუსეთს, გაწყდეს, განადგურდეს, აოხრდეს?

აი, პროვოკაციასა და ავანტიურაზე რომ არ მიდის, ეს ეთვლება ბიძინა ივანიშვილს თუ ის ფრთხილად, გონივრულად და წინდახედულად მოქმედებს და აგრესორს აგრესიის საბაბს და მოტივს არ აძლევს?

●

ადამიანის ბუნება ასეა მოწყობილი —

როცა გცემენ, მათრახზე გირტყამენ, უდანაშაულოს ციხეში გამწყვდევენ, ქონებას გართმევენ, გკლავენ, გაწამებენ — ეს ყველაფერი თითქოს ნორმაა, ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, აი, სიკეთეს რომ გიკეთებენ, ამან შეიძლება დაგაეჭვოს და საგონებელში ჩაგაგდოს.

ბიძინა ივანიშვილს იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული ამ ქვეყნისთვის, დაეჭვებულთა და საგონებელში ჩავარდნილთა რაოდენობა, ალბათ, საკმაოდ ბევრია, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც...

როგორც ვთქვით, ბიძინა ივანიშვილის მასშტაბების მეცენატი და ქველმოქმედი საქართველოს თავისი არსებობის მანძილზე არ ჰყოლია,







ჰოდა, ამ ანგარიშში ვინ რას დობს და რატომ, ვიღაცამ ხომ უნდა გააკონტროლოს?

იქნებ მართლა ბომბს გიდობენ, თქვე დალოცვილებო.

ბარემ აქვე ისიც ვიკითხოთ: ეს ნაცმოძრაობის ლობისტები შემთხვევით პუტინის ლობისტებიც ხომ არ არიან?

სულაც არ არის ეს გამორიცხული, მით უმეტეს, რომ პუტინს თუ ვინმე ჰყოლია ახლო მოკავშირე, სააკაშვილისნაირი ნამდვილად არ ჰყოლია, რომელმაც წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით, ხონჩით მიართვა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი და ყველა ნანინანატრი სურვილი შეუსრულა.

თუ დესტაბილიზაციაზე მიდგება საქმე, აი, ის იყო რუსეთთან ერთად დაგეგმილი ნამდვილი დესტაბილიზაცია, 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა და მისმა ბანდამ რომ მოუწყო საკუთარ სახელმწიფოს.

ნუთუ ეს არ იციან ამერიდა „ქართულ ოცნებას“ დანაშაულად?

— სამაგიეროდ, ჩვენ ვართ ყველაფერზე თანახმა... ოღონდ ხელი შეგვიწყვეთ, ხელისუფლებაში დავბრუნდეთ და ყველანაირ პროვოკაციაზე წავალთ, ყველაფერს ვიკადრებთო. აი, ამას ხომ არ ჰპირდებიან ვიღაც-ვიღაცებს ნაციონალები და მათი პოლიტიკური ნაბიჭვრები.

კი მაგრამ, ვის შეიძლება მოვლენათა ასეთი განვითარება ხელს აძლევდეს.

ამერიკის შეერთებულ შტატებს? — არა, გამორიცხულია!

რუსეთს? რუსეთს კი, რადგან ახალი ომი რუსეთს საშუალებას მისცემს ბოლომდე მიიყვანოს 2008 წელს წარმატებით დაწყებული საქმე და დროში უსაშველოდ გაწელილი პრობლემა საბოლოოდ გადაწყვიტოს.

რატომ ეთვლება დანაშაულად საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას, გნებავთ, ბიძინა ივანიშვილს, თუმცა თუ კარგად დააკვირდებით ივანიშვილის მიერ განხორციელებული პროექტების თანმიმდევრობას, დარწმუნდებით, რომ ეს არ არის მხოლოდ ქველმოქმედება — ეს არის ქვეყნის განვითარების კარგად გააზრებული და დაგეგმილი კონცეფცია, ქვეყნის წინსვლის სტრატეგიული გეგმა.

მე ერთ-ერთ წერილში ასეთი კითხვა დავსვი: რა დარჩება საქართველოსგან, თუ მას იმ საქმეებს გამოვაკლებთ, რაც მისთვის ბიძინა ივანიშვილს გაუკეთებია-მეთქი?

„გამოვაკელი“ და ძალიან სავალალო სურათი მივიღე...

მაქვს გონივრული ეჭვი, რომ ის ძალა, რომელიც ამერიკელ კონგრესმენებს თუ ევროპარლამენტარებს არწმუნებს, რომ ბიძინა ივანიშვილი პუტინის მოკავშირეა, თავად არის პუტინის მოკავშირე და აგენტი, ანუ სულწაწყმედილი არქიფოსი არ იყოს: უკუღმაა ეს ყველაფერი, ასინეთა, უკუღმა.

უკანასკნელ საათს

# რატომ დამალა ნიკა გვარამიამ, რომ გიორგი გაბუნიას წინააღმდეგ შეკვეთილი მკვლელობა მზადდებოდა?!



ამ რამდენიმე დღის წინათ სუს-მა ინგუში ეროვნების მოქალაქე ვასამბეკ ბოკოვი დააკავა, რომელიც ქავთარაძის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა.

ორშაბათ საღამოს კი თმაგაწეწილი ნიკუტა გვარამია გამოვარდა და ლოყების ხოკვით და მოთქმა-ვიშვიშით განაცხადა: მიშველეთ, ბავშვს მიკლავენო.

როგორც გაირკვა, ეს ბავშვი გიორგი გაბუნია იყო. რომელიც კაი გვარიანი მუტრუკია, მაგრამ დედის გული ხომ იცით — მისთვის 40 წლის შვილიც ბავშვია.

მით უმეტეს, გიორგი გაბუნია, თავისი საქციელით, მანჭვა-გრეხვით, სიტყვა-პასუხით, მართლაც ჰგავს ბავშვს, ოღონდაც უზრდელ და უზნეო ბავშვს, რომელსაც მშობლის ხელი არ ეტყობა და თუ კარგად დააკვირდები, შეიძლება დაასკვნა, რომ ფსიქიკური პრობლემებიც აქვს.

აი, ამ გიორგიზე ატეხა ნიკუტა გვარამიამ წიოკობა — ის ინგუში, სუსმა რომ დააკავა, ჩემი გიორგის მოსაკლავად იყო გამოგზავნილი რამზან კადიროვის მიერ და სამი თუ ოთხი თვეა, მე ეს ვიცი, თუმცა ამის შესახებ არავისთან არაფერი მითქვამს, თვით გიორგისთანაც კი არაფერი დამცდენიაო.

რათა, კაცო, რათა? რას ელოდებოდი, რას უცდიდი? მართლა რომ გაეგორებინა იმ წყეულ ინგუშს ეს შენი ნალოლიავები „შვილი“, მერე სად მიდიოდი?

— არ ვამბობდი ამიტომ და ამიტომო, — რაღაცას მიედ-მოედებოდა ნიკუტა და მისი „ჩვენება“ იმდენად არადამაჯერებელი და ალოგიკური იყო, კაცს ეჭვი შეეპარებოდა — რაღაცას ხომ არ მალავს ეს ეშმაკთან წილნაყარი გვარამიაო.

თქვენ წარმოდიგინეთ და სტუდიაში გვარამიას გვერდით მჯდარ გიორგი გაბუნიასაც კი აშკარად ეტყობოდა სახეზე, რომ ძალიან იყო გაბრაზებული — მოკვლას მიპირებდნენ და ამას მიმალავდი, გამზრდელოო?

— მართალია, არაფერი მითქვამს, მაგრამ დაცვა ხომ გავაძლიერე, შვილო, მეტი რა უნდა მექნაო, — თითქოს თავს იმართლებდა გვარამია.

ასეთი ბრინჯივით დაბნეული და არეულ-დარეულად მოლაპარაკე გვარამია კარგა ხანია არავის უნახავს.

ჩნდება ეჭვი — სხვა რამე ხომ არ მოხდა მანდ და როგორც გვარამიას და მის „შანტრაპას“ სჩვევია, ყველაფერი უკუღმა ხომ არ მოგვაწოდეს?

კერძოდ, ხომ არ გაიგო გვარამიამ, რომ სუს-ი მომხდარის შესახებ განცხადების გაკეთებას აპირებდა და თავისი ბრიფინგით დაასწრო მოვლენებს?

ისიც ხომ ფაქტია, რომ სუს-ის განცხადების გამოქვეყნების შემდეგ გვარამიას მხრიდან იმის აღიარება: ეს ყველაფერი ვიცოდიო, ცხადია, დიდ უხერხულობას შექმნიდა და ამიტომაც ატეხა წინასწარ კრიახი.

ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ სანამ „მთავარის“ სტუდიაში შეკრებილი ჭირისუფლები ინგუშის ტყვიას გადარჩენილ გაბუნიას „დასტიროდნენ“, სუს-ის ვრცელი და ამომწურავი განცხადებაც გამოქვეყნდა, რომელიც სულაც არ ჰგავდა სახელდახელოდ და ნაუცბათევად შედგენილ ტექსტს.

აღიარე, ხომ ასე იყო, გვარამია, შე აფერისტო, იცოდი, რომ სუსს განცხადება უკვე ჰქონდა გამზადებული და დაასწარი შე ყურუმსაღო?

უტყუარი ფაქტია, თუ ვინმე მართლა აპირებდა გაბუნიას ლიკვიდაციას, ამ უბედურებას გაბუნია სწორედ რომ სუს-მა გადაარჩინა.

მეტი რა ექნა სუს-ს? გაბუნიას ფარულად დაცვა მიუჩინეს (გაბუნიამ თვითონვე აღიარა — მანქანები დამყვებოდაო), ვიღაცის პირით აცნობეს: ასე და ასეა საქმე და ფრთხილად იყავითო. ცხადია, ბოკოვზეც სრული კონტროლი და თვალთვალი ჰქონდათ დაწესებული და როცა საჭიროდ ჩათვალეს, აიყვანეს კიდევაც.

ყოველივე ამის შემდეგ ნაციონალები, მათი სატელიტები, გვარამია და მისი ზონდერ-ჟურნალისტები მაინც სუს-ს და ხელისუფლებას ლანძღავენ უკანასკნელი სიტყვებით.

მთლად ასეთი სინდის-ნამუსისგან გარეცხილები და უმადურები როგორ ხართ, თქვე მართლა ნაგვებო?!

რატომღაც ძალიან გაბრაზებულები და ნაწყენები ჩანხართ...

იმან ხომ არ გაგანაწყენათ, რომ შეკვეთილი მკვლელობა არ შედგა და ხელიდან დესტაბილიზაციის, ქვეყნის არევის საბაბი გამოგეცალათ?

რაც შეეხება გიორგი გაბუნიას, მაგას რომ რაიმე დამართოდა, ან მომავალში დაემართოს, არ იქნება ეს იმათი ბრალი, ვინც ის იმ არაადამიანურ საქციელზე წააქეზა, ტაში დაუკრა და მოუწონა?

ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს იგი, მკვდარი დედა რომ არ უნდა შეაგინო, ეს ქართველი კაცისთვის შესახსენებალი არ უნდა იყოს, მაგრამ არ ხართ თქვენ ქართველები — უბრალოდ, გვარ-სახელი გაქვთ ქართული, თორემ ქართველობისა არაფერი გცხიათ.

**„საერთო გაზეთი“**



# საკმარისია ბიძინა ივანიშვილი წავიდეს საქართველოდან და ეს ქვეყანა იმდღესვე დამთავრდება...

## ყველა, ვინც ეროვნული ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობდა, საქართველოს მტერია!



*გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, ბოლო დროს უცნაური ტენდენცია შეინიშნება — ცალკეული ტელევიზიები თუ კონკრეტული პერსონები ეროვნული მოძრაობის მიზანმიმართულ გადაფასებას ახდენენ. როგორ ფიქრობთ, ეს რა მიზანს ემსახურება და გვითხარით, რა ხდებოდა, რეალურად, იმ წლებში?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. მოდით, ჯერ დღევანდელი ყოფა, მდგომარეობა შევაფასოთ. რა ხდება დღეს ქვეყანაში და, ზოგადად, მსოფლიოში. ეს გლობალური ტალღა მიმართულია იქეთკენ, რომ ეროვნებები მოისპოს. ჩვენი, დიდი, ღირსეული შვილების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წყალობით თავისუფლება, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ. ეს, ბრძოლით მოხდა. ერთი რამ უნდა აღინიშნოს: რომ არა მათი სამშობლოსადმი გულწრფელი სიყვარული, ურყევი რწმენა, რომ საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა გამხდარიყო, ამ ბრძოლას ვერ მოვიგებდით. გამარჯვება რომელიც მოვიპოვეთ და სამწუხაროდ, ერთ წელზე მეტი ვერ გასტანა, მსოფლიო ძალებმა დაამხვეს და არც შინაურებს დაუკლიათ ხელი. ჩვენი თავისუფლების წინააღმდეგი იყო როგორც რუსეთი ისე ამერიკა, მაგრამ მთავარი მოქმედი გმირები იყვნენ, ქართველები, რომელთაც სამშობლოს არავითარი განცდა არ გააჩნდათ, ისინი ეგოიზმით, ეგოცენტრიზმით იყვნენ შეპყრობილნი, რათა ყველაფერი საკუთარ თავზე მოერგოთ — სავარძელი, თანამდებობა და ა.შ. მთელი უბედურება ისაა, რომ მათ ვერ განსაზღვრეს თუ რა მოჰყვებოდა ეროვნული ხელისუფლების დამხობას. შეიძლება ვიღაცას არ მოსწონდეს ზვიადი, მერაბი თავისი პრინციპებით, მაგრამ თუ უფალმა გონება და ხედვა არ წაგართვა, უნდა მიმხვდარიყავი, რომ ეს იყო ერთადერთი მიზანი, პრინციპი რითაც ქართველმა ხალხმა ძალიან დიდი ხნის ოცნება აიხდინა და დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ძირითადი ფასეულობა რაც ქართველი ერისთვის და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იყო, ეს ეროვნულობის განცდა გახლდათ. მიხო წერეთელს თუ გავიხსენებთ, იგი ძალიან კარგად ხსნის თუ რა არის ეროვნება: ეროვნება არ გახლავთ მხოლოდ ერთი გენეტიკური გაერთიანება, არამედ ეს არის სოციალურ-ფსიქოლოგიურად ჩამოყალიბებული ყველაზე მტკიცე სულიერი ერთიანობა. სწორედ, ამ ეროვნების წინააღმდეგ არის მიმართული მთელი მსოფლიო პოლიტიკა იქნება ეს ამერიკა თუ ევროპა. მათი მთავარი მიზანი იმთავითვე ეროვნების მოსპობა იყო. ვითომ, წინ წამოსწიეს ადამიანის უფლებები. სინამდვილეში, ჩვენი უფლებების დაცვა კი არ სურდათ, არამედ ერის დაშლა. დიახ, ერის დაცალკევება, გათითოკაცება დაიწყეს. ამ პროცესში, მათ, ადამიანების მორალური გახრწნა მოახერხეს. ამის უამრავი მაგალითები არსებობს. ამერიკაში პედოფილიის განვითარებას პირდაპირ ხელს უწყობდნენ, იქმნებოდა ორგანიზაციები. ერთ-ერთ ცნობილ საბავშვო ბაღში, რომელსაც 20 წლის განმავლობაში დედა-შვილი ხელმძღვანელობდა, ბავშვების საშინელი გარყვნა ხდებოდა. მათ აჩვენებდნენ ცხოველები როგორ ცხოვრობდნენ ერთმანეთთან, ასევე, ასწავლიდნენ თავად როგორ უნდა ეცხოვრათ ერთმანეთთან და ა.შ. 400 ბავშვი სასამართლოზე გაიყვანეს, 370-მა მისცა ჩვენება, რომ მათზე ძალადობდნენ, რყვნიდნენ. ამ ჩვენებებს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. მეტსაც გეტყვით: ცნობილი ბიზნესმენი მანჩინი გოგონებს ჯაჭვით აბამდა, ცემდა, აუპატიურებდა, აწამებდა. იგი დაიჭირეს, მაგრამ სასამართლომ გაათავისუფლა. ასეთი მდგომარეობა იყო მთელს მსოფლიოში. საბავშვო ბაღის საქმეზე სასამართლო სამი წელი მიდიოდა და მისი პატრონები — დედა-შვილიც გაათავისუფლეს, გაამართლეს.

რუსეთს 150 წლის მანძილზე ისეთი არაფერი დაუშავებია, რაც ამერიკამ 10 წელიწადში შეძლო. მან ახალგაზრდობა წაგვართვა. დიახ, ახალგაზრდების, ჩვენი მომავალი თაობის აზროვნება გადააგვარეს. ჯერჯერობით, ვერ გაბედეს იმ კედლის დანგრევა, რაც ქართულმა მართლმადიდებლობამ ააშენა. პირველი ვისაც უტევენ, ეს გახლავთ უწმინდესი, რომელმაც ეკლესიური ცხოვრება აღადგინა. კორონა ვირუსის დროს ერთი ამბავი ატეხეს: ეკლესიები ყველა ქვეყანამ დახურა და აქ, რატომ არის ღიაო. დიახ, ამაყნი ვართ, სახელი იმით გავითქვით მსოფლიოში, რომ რწმენას არ ვუღალატეთ. ესენი რწმენის წინააღმდეგ ილაშქრებენ და ამას დემოკრატიას უწოდებენ. თუკი ვინმე აკრიტიკებდა რუსეთს, ეს, მე, ვიყავი. როცა ესენი ტაშს უკრავდნენ და ერთ ადგილს ულოკავდნენ, მე ვაკრიტიკებდი და ამისათვის, კიდეც, დამიჭირეს. ამერიკა ჩემი იდეალი იყო როგორც თავისუფლების კუნძული, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები: როდესაც ამ ზანგ მაიმუნს გმირად მიხდი, ეს თეთრი ინტელიგენცია მიდის და ზანგებს ფეხებზე კოცნის, ეს არის თავის მოჭრა, ადამიანთა გადაგვარება. ვითომ დიდსულოვნები არიან და სინამდვილეში, ბოდიში მომიითხოვია, და ერთ ადგილს ათამაშებენ.

**— ბატონო ელიზბარ, თქვენ ახსენეთ ზვიადის და მერაბის სამშობლოსადმი სიყვარულმა თავისუფლება მოგვაპოვებინაო. თუმცა, შიდა მტრებმა, მალევე, ქვეყნის ნგრევა და დაქუცმაცება დაიწყეს.**

— ბევრმა კარგად იცოდა ამას რაც მოჰყვებოდა. ზვიად გამსახურდიამ წინასწარმეტყველივით დახატა სურათი თუ რა მოხდებოდა. ამის შემდეგ იწყება ქვეყნის დანგრევა და დაქუცმაცება. შეიარაღებულ გადატრიალებას აფხაზეთის მოვლენები მოჰყვა. მავანი გაიძახის: ეროვნულმა ხელისუფლებამ თავად მოაწყო პუტჩიო. საინტერესოა, ის რა ძალები იყო სამეგრელოს ხუთჯერ რომ შეესიენ და გადაუარეს?! ეს ხალხიც გამსახურდიამ შეუსია სამეგრელოს?! პუტჩისტი კიტოვანი ვითომ თავისი ნებით წავიდა, დაუკითხავად აფხაზეთში. შევარდნაძემ მოსპო საქართველო. სწორედ მან ჩააბარა აფხაზეთი. რა უძღოდა ამ ყველაფერს წინ? — შევარდნაძემ აფხაზეთის ქართველობას უთხრა შეთანხმებას მივაღწიეთ — ორივე მხარე უნდა განვაიარაღოთ და ამიერიდან მშვიდობა იქნებაო. დიდმა ნაწილმა იარაღი ჩააბარა და მერე რაც მოხდა ყველამ ვიცით. მერე შევარდნაძემ, თითქოს, გადადგომა დააპირა. იგი წესით სახელმწიფო დამნაშავეა. შემდგომში, მან, როგორც ერთმა ცნობილმა მასონმა პირწმინდათ მოუთავისუფლა ადგილი მიხეილ სააკაშვილს და საქართველოს თავზე მისი დროშა აფრიალდა კიდეც. მაგრამ ეს ქართული დროშა არ არის, არამედ მასონური დროშაა. დიახ, მერე ეს ძალები — „ნაციონალები" წამოვიდნენ. მათ „ვარდების რევოლუცია" გაითამაშეს და ქვეყნის სათავეში მოექცნენ. ედუარდ შევარდნაძესაც და მიხეილ სააკაშვილსაც სახელმწიფო დანაშაული ხახვივით შერჩათ. მიშამ მთელი ქონება ქვეყნის გარეთ გაიტანა. იგი, უკრაინაში თანამდებობაზე წამოასკუპეს იმის ნაცვლად რომ არაერთი დანაშაულისთვის გასამართლებულიყო, ეს ქართველი ერის შეურაცხყოფაა. ამ ქვეყანას 90-იანი წლებიდან ანგრევენ, ტერიტორიებს კარგავენ და ვითომც არაფერი. არც შევარდნაძის და არც სააკაშვილის ხელისუფლებებს პასუხი არ უგიათ დანაშაულობებისთვის. მეტიც, არ მომხდარა არათუ სამართლებრივი, არამედ არც პოლიტიკური შეფასება. დღეს, იმ ძალების რეამინაცია ხდება, რომლებიც საქართველოს შინაური დამპყრობლები იყვნენ. დამნაშავეებს პასუხი არ უგიათ, რამაც ახალი დანაშაულობები შვა. სამწუხაროდ, დღეს ივანიშვილს ყოველმხრივ უტევენ. საკმარისია ბიძინა ივანიშვილი წავიდეს საქართველოდან, ეს ქვეყანა მაშინვე დამთავრდება. ვიმეორებ, დღევანდელი პოლიტიკის მთავარი მიზანი ქართველი ერის მოსპობაა. სახელმწიფომ უნდა დასაჯოს დამნაშავე და თუ ასე არ მოიქცევა, მერე, მას თავად ხალხი დასჯის. სხვათა შორის, სააკაშვილი შევარდნაძეზე ბევრად უარესი იყო. შევარდნაძე სოფელში გაზრდილი იყო, ქართული განცდები ჰქონდა, მეცნიერებას, პოეზიას, ხელოვნებას პატივს სცემდა. სააკაშვილი მოვიდა და დაანგრია ყველაფერი. იგი ავადმყოფია, ნამდვილი





დიქტატორი. ამ დროს, ამერიკამ დემოკრატიის შუქურად გამოაცხადა. ამის მერე როგორ ვიწამო იმ დემოკრატიის, როცა სააკაშვილის რეჟიმი ხალხს ქუჩაში კლავდა, მამას შვილის და მეუღლის თვალწინ აუპატიურებდა, პატიმრებს მიცვალებულების გვერდით აწვენდა და ა.შ. ბოკერიას მითითებით ციხეში პატიმრებს ხოცავდნენ. იგი, ეროვნული მოძრაობის დროსაც ავტომატით ხელში დარბოდა. ამერიკას და ევროპას კი ეს ხალხი დემოკრატიის მაუწყებლად მიაჩნიათ. ჩვენ, ქვეყანა ვართ თუ კოლონია. ახლა, თითს გვიქნევენ გიორგი რურუა გაათავისუფლეთო. ეს ნაძირალა კაცი რომელიც ათას სიბინძურეს აკეთებდა, ახლა პოლიტიკურ პატიმრად უნდათ შემოგვასაღონ. ლამის არის გმირად აქციონ. ეგ ისეთივე გმირია როგორც გია ყარყარაშვილი, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი.

ორიოდ სიტყვით, ტელევიზიებს მინდა შევეხო. ქართული არხებიდან მხოლოდ „იმედს“ ვუყურებ. მაგრამ ამ „იმედმაც“ ყარყარაშვილი გმირად მონათლა. გასვიანი არ ვიცი ვინ არის, მაგრამ მე, გეტყვით: ვინ არის ყარყარაშვილი. იგი კიტოვანის ჯარში ერთადერთი სამხედრო სპეციალისტი იყო. რა დამსახურებით არის გმირი იმით, რომ ეროვნული ხელისუფლება დაამხო?! მათ მოსპეს, გაანადგურეს ყველაფერი და მერე, საბრძოლველად წავიდნენ. შეგნებულად გაკეთდა ტანკებით, ვითომ, აფხაზეთის დასაბრუნებლადრომ წავიდნენ. ეს უკვე წინასწარ, მოსკოვში იყო გადაწყვეტილი, რომ ამ ტერიტორიებს ვკარგავდით. როდემდე შეიძლება ეს სიბეცე გაგრძელდეს. ბევრი არ მინდა მასზე ვილაპარაკო იმიტომ, რომ ღმერთმა ისედაც დასაჯა. ყველა ვინც ეროვნული ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მტერია და უნდა დაისაჯოს, გასამართლდეს. მათთვის გასამართლებაც



ცოტაა. მოკლედ, ყარყარაშვილი „იმედმა“ აქცია გმირად, აი, „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ კი ისეთ კაცს დაუთმო ტრიბუნა, რომელმაც ეროვნული მოძრაობა პუტჩის მოწყობაში დაადანაშაულა. ეგ ვის მკვლელობებზე ლაპარაკობს მაშინ, როცა „დევიატკას“ უფროსი იყო, რაზმი ყავდა შექმნილი, დადიოდნენ და ხალხს ცხრილავდნენ. ავტობუსი რომელშიც ზვიადისტები იჯდნენ და საქართველოს ტოვებდნენ, მაგათ დაცხრილეს. ეგეთები ყველა ხელისუფლების დროს თანამდებობაზე იყვნენ წამომჯდარნი — ხან შევარდნაძესთან იყვნენ ჩახუტებული, ხან მიშასთან და კუდს უქიცინებდნენ. როდესაც ხელმოცარული რჩებოდნენ, მერე, ოპოზიციონერობას იწყებდნენ. კი ბატონო, დადებითი მომენტია, რომ გამოდის და სააკაშვილის რეჟიმს აგინებს, მაგრამ გააჩნია ვინ აგინებს. ის ვინც თავად არის საგინებელი, სააკაშვილს რომ აგინებს, ეს განა რამე კარგის მომტანია? მე, მაგათ ერთხელ უკვე შევუთვალე და გავაფრთხილე: ეროვნულ მოძრაობაზე და ეროვნულ ცნებებზე ნუ ლაპარაკობენ. თორემ, ისეთ რაღაცებს დავუწერ საერთოდ გარეთ ველარ გამოვლენ. აი ეს არის პრობლემა, სირცხვილია. მე, „ქართულ ოცნებას“ ვუჭერ მხარს იმიტომ, რომ სხვა ძალა არ არსებობს. არც ოპოზიცია არსებობს. ჩემს თვალში ადამიანი იყოფა ორად: ერთი — კარიერისტი და მეორე — ვისაც სურს ქვეყანა გააძლიეროს, წინ წასწიოს და ქართველი ხალხი გადაარჩინოს. ერთი-ორი კაცი თუ არის პოლიტიკაში ვინც ქართველ ხალხს ეფერება, მასზე ფიქრობს და თუ რამეს ვერ აკეთებს, ამას განიცდის, დანარჩენი სულ კარიერისტები არიან. ავიღოთ, კვირიკაშვილი, იგი, ხან ერთ პარტიაში იყო, ხან მეორეში და როგორც კი პრემიერ-მინისტრი გახდა მაშინვე ბანკირებს ჩაეხუტა. ერთადერთი პრემიერ-მინისტრი რომელიც ერთგულებით გამოირჩეოდა და ქართულად აზროვნებდა, ეს იყო ღარიბაშვილი. მან თქვა: „ნაციონალები“ ნაძირლები არიან და უნდა გასამართლდნენო. ეს არ აპატია ამერიკამ და თანამდებობიდან გაუშვეს. ბახტაძეც ნორმალური იყო. გახარიას დიდ პატივს ვცემ. ვინც ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის იღწვის და საქართველოს გადაარჩენს ყველას მივესალმები. საკმაოდ ცუდ დღეში ვართ, ბეწვის ხიდზე ვდგავართ და აქეთ-იქით ვქანაობთ. ამ დროს ვინც ბედავს „იმედი“ იქნება ეს თუ სხვა არხი და ყარყარაშვილს გმირად რაცხავს, ყველას ცხვირში ნიორი უნდა ამოუსვა და მერე პანღური. თუ მონურ მორჩილებას თავი არ დავანებეთ, არაფერი გამოვა. მესმის რომ ამერიკას შეუძლია სამ დღეში შიმშილით ამოგვხოცოს, მაგრამ მონობას ისევ ეს სჯობს.

თუ ყარყარაშვილი გმირია, მაშინ რა გამოდის, ჯაბაც და კიტოვანიც გმირები ყოფილან?! ეს უნდა განზოგადდეს. ვინც ეროვნული ხელისუფლება დაამხო, ისინი ყველანი მტრები არიან და უნდა გასამართლდნენ. იოსელიანიც ვიცი ვინ იყო, კიტოვანიც და სიგუაც, ყველანი ქვეყნის მტრები და მოღალატეები იყვნენ. ვაჟკაცი ხარ თუ არა, ეს, ჩემთვის, სულერთია, მთავარია გიყვარს თუ არა სამშობლო. ვისთან იყვნენ ეს ხალხი და ვინ მფარველობდა, ეს ხომ ცნობილია. ყველა მათგანმა სწორედ იმ ქვეყანაში ჰპოვა თავშესაფარი, ბუნებრივია, რუსეთს ვგულისხმობ. ყველა მითითება იქედან მოდიოდა და ესენიც ასრულებდნენ. ეს არ იკმარეს და ახლა რურუაც გმირად გამოიყვანეს. გმირი ჩემთვის არის ის, ვინც შეგნებულად თავი შესწირა სამშობლოს. ასეთი კაცი იყო ზვიადი, მერაბი, ჩვენი წინაპრები — ცხრა ძმა ხერხეულიძე, წმინდა ბერები და ა.შ. აი, ვინ უნდა იყვნენ ჩვენთვის იდეალები და არა ყარყარაშვილი და რურუა.





**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება“

## როცა ნარკომანი, ხუთგზის ნასამართლევი, პორნოვარსკვლავი, ჯორჯ ფლოიდი – ლამისაა წმინდანად შერაცხონ, რატომ არ შეიძლება ჟორიკა რურუა პოლიტპატიმრად გამოაცხადონ



*გვესაუბრება პოლიტიკის ანალიტიკოსი*
*სოსო მანჯავიძე*

**— ბატონო სოსო, რა ვერ ვასიამოვნეთ ამერიკის კონგრესმენებს უკვე მერამდენე სასაყვედურო წერილი რომ გამოგვიგზავნეს? ესენი ნაციონალების მეგობრები არიან თუ, როგორც ამბობენ, საქართველოს პოლიტიკური პარტნიორები — გიორგი რურუას პოლიტპატიმრის სტატუსით ციხიდან გამოშვებაზე რომ მიგვითითებენ?**

— პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, რომ აშშ-ი ძალიან რთული ქვე-



ყანაა და ის სხვადასხვა კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

უმთავრესი ისაა, რომ ამერიკის პოლიტიკურ წრეებში გაბატონებულია ღია ლობიზმი, რომელიც არის სრულიად ლეგალური მოვლენა ამ ქვეყანაში.

**— ლობიზმი — ჩვენ რომ მოქრთამვას ვეძახით, ის არის ხომ?**

— დიახ, დიახ.

ამერიკაში არის ლობისტური კომპანიები, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ ამა თუ იმ ქვეყნის, კომპანიის, პოლიტიკური ძალის, ან დიდი კორპორაციის ლობირებას აშშ-ის საკანონმდებლო ორგანოებში — სენატსა და კონგრესში.

ლობისტების ფული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სენატორების და კონგრესმენებისთვის, რადგან ისინი მუდმივად საჭიროებენ არჩევნებისთვის თანხებს, იგივე საარჩევნო ფულს. ჩვენ ვიცით, როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური შემთხვევებიც, რომელთა ნათელი მაგალითია, იგივე, უკრაინის სკანდალი და არა მხოლოდ.

სავარაუდოდ, იგივე სქემას ვიხილავთ ჩინეთთან მიმართებაში და სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, ანუ აშშ-ის დახმარება მიედინებოდა უკრაინისკენ. შემდეგ ეს ფული ბრუნდებოდა, ფიქტიური ფირმების მეშვეობით, აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ფულის ყულაბაში, საარჩევნო კამპანიისთვის.

ეს სქემა გაიშიფრა. ამ თემაზე დაიბარეს ბაიდენი კონგრესში. სკანდალი, სავარაუდოდ, მწვავე ფორმებს მიიღებს არჩევნების პერიოდში.

ახლა მოგახსენებთ, რატომ გავაკეთე ამხელა შესავალი თქვენი კითხვის პასუხად:

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში 450 წევრია მათ შორის გახლავთ ეს 13 კონგრესმენი, რომლებიც ნეოკონსერვატორები არიან. ნეოკონსერვატორები, საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაკავშირებული არიან „ნაცმოძრაობასთან“ და მიხეილ სააკაშვილთან, ასევე გიგა ბოკერიასთან და აქვთ ამ ადამიანებთან ხანგრძლივი ლობისტური პრაქტიკა.

სააკაშვილს და ბოკერიას მთელი 9 წლის განმავლობაში მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ნეოკონსერვატორებთან და ამ „მეგობრობისთვის“ იხდიდნენ კონკრეტულ ფულს.

გახსოვთ ბოკერიას სკანდალი ფულის დაუსაბუთებლად ხარჯვის შესახებ მისი უშიშროების მდივნის პოსტზე ყოფნისას? სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს ფული თურმე მიდიოდა აშშ-ში „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების ლობირებისთვის.

როცა წლების განმავლობაში არსებობს ლობირების პრაქტიკა, ბუნებრივია, ეს ინერცია რთული შესაჩერებელია, რადგან ყალიბდება ურთიერთობების სისტემა, ვალდებულებები და იოლი აღარაა ამ ინერციის შეჩერება. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება იმ 13 კონგრესმენის წერილის მოტივაცია.

კონკრეტული პოლიტიკური ძალის ინტერესებში შედის განცხადება, რომელიც გააკეთეს ამ კონგრესმენებმა.

იგივე მოხდა „ფრონტერასთან“ დაკავშირებით.

როცა ამ თაღლითურმა ფირმამ 3 მილიონნახევრიანი სარჩელი შეიტანა საქართველოს წინააღმდეგ, „ნაცმოძრაობა“ ტაშს უკრავდა — „ფრონტერა“ საქართველოს 3 მილიონ ნახევარს „ახევსო“. აქედანაც თვალნათლივ ჩანდა და ჩანს „ნაციონალების“ ნამდვილი სახე.

რაც შეეხება „ფრონტერას“.

მის ინტერესებსაც ლობირებენ კონგრესმენები, სანაცვლოდ, „ფრონტერა“ წირავს ფულს კონგრესის წევრებისთვის წინასაარჩევნოდ.

შემომწირველი კი აშშ-ში ე.წ. „წმინდა ძროხად“ ითვლება, იგი ხელშეუხებელია.

მაგრამ რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება ამ ვითარებაში? ვხედავთ, რომ ვერაფერს.

იმის მიუხედავად, რომ იხარჯება თანხები, ქირაობენ ლობისტურ კომპანიებს, საერთაშორისო პრესაში იწერება მხარდამჭერი სტატიები, ჩვენ ვერ დავინახეთ ვერც ერთი დასაბუთებული განცხადება 13 კონგრესმენის საპირისპიროდ ვერც წარმომადგენლობითი პალატიდან და ვერც სენატიდან.

ეს უსისტემო, უინიციატივო, უცოდინარი მიდგომებია „ქართული ოცნების“ მხრიდან და პირველ რიგში, ქვეყანას აზიანებს, ხოლო ამე-



რიკელი კონგრესმენების მხრიდან ასეთი პოზიციები, ცხადია, არ არის დემოკრატიულობის გამოვლინება.

**— გასაგებია, მაგრამ თუ ისინი თვლიან, რომ აქ, ხელისუფლებაში, პუტინისტები არიან?**

— თქვენი შეკითხვაც და დემაგოგიური „არგუმენტები“ ამერიკელი კონგრესმენების მხრიდან არის აბსოლუტურად სასაცილო.

ხალხი, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების საწინააღმდეგო განცხადებებს ავრცელებენ, ხშირად გაერთიანებულნი არიან აზერბაიჯანის მხარდამჭერ ჯგუფებში და კმაყოფილები არიან აზერბაიჯანში დემოკრატიული პროცესების გამჭვირვალეობითა და ა.შ.

სხვათა შორის, აზერბაიჯანის ხელისუფლების და ალიევის დამგმობი განცხადებები აშშ-ის მხრიდან არასდროს მოგვისმენია. მეტიც, ალიევი ჩასულიც იყო ამერიკაში, შეხვდა ძალიან სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურებს აშშ-ში. მას მხარს უჭერენ ასევე სერიოზული ლობისტური კომპანიები. აზერბაიჯანის მხარდამჭერთა ჯგუფმა 2016 წელს 60 კონგრესმენს მიაღწია, რასაც არასახარბიელო გამოხმაურებები მოჰყვა მერე ამერიკულ პრესაში, მაგრამ აზერბაიჯანის საწინააღმდეგო განცხადებები ვინმეს სადმე უნახავს ან წაუკითხავს, ან არ-



ჩევნები დაუწუნებიათ ან დამუქრებია ვინმე სანქციებით?

**— დავუბრუნდეთ კონგრესმენებს და აშშ-ს. ჯორჯ ფლოიდის ინციდენტთან დაკავშირებით კინაღამ ფერადი რევოლუცია მოხდა ამერიკაში.**

— დიახ, და ეს პროცესები კიდევ მიმდინარეობს.

როგორც სუნ ძი ამბობდა, ისტორიას წარმართავენ არა პოლიტიკოსები და არმიები, არამედ სიმბოლოები. ამა თუ იმ პროცესის არსის გასაგებად სწორედ მის სიმბოლოს უნდა დავაკვირდეთ.

ამერიკაში მიმდინარე პროცესის სიმბოლო ჯორჯ ფლოიდია.

ხუთგზის ნასამართლევი, რეციდივისტი, ნარკომანი, პორნოვიდეოების „გმირი“ ჯორჯ ფლოიდი, რომელიც ყალბი ბანკნოტების გავრცელების გამო დაკავებისას დაიღუპა, ამერიკის დღევანდელობის ისტორიის სიმბოლოა.

ის ვაკხანალია, რაც ამის შესახებ გავრცელებულ ვიდეოს მოჰყვა, ნათლად აჩვენებს ამ სიმბოლოებს და პროცესის ურთიერთშესატყვისობას.

საოცარი იყო მის მოოქროვილ სასახლესთან პირბადით მდგარი მერის ნახვა, თეთრკანიან წინაპართა მიერ შორეულ წარსულში შავკანიანების წინაშე ჩადენილი ცოდვებისათვის დაჩოქილი "დამნაშავე" თეთრები და მოროდიორები — ლიბერალურმა იდეოლოგიამ ინდულგენცია რომ უბოძა...გამოდის, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ, რადგან თეთრები მათ წინაპრებს ჩაგრავდნენ..

საინფორმაციო შხამებით და ნარკოტიკებით გაბრუებული, ყოველგვარი ზნეობრივი ორიენტირების გარეშე დარჩენილი ახალგაზრდობა, რომელიც სრულიად მექანიკურად იმეორებს უაზრო ლოზუნგებს, გლობალისტების უნივერსალური იარაღია.

სხვათა შორის, ეს პროცესი ჩვენთან უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს და 20 ივნისს მისი წლისთავის გადახდასაც აპირებენ.

მაგრამ ამერიკაში უფრო რთულად არის საქმე.












**სანამ არ გამოჩნდება ალტერნატივა, რომ არ ჩამოიშალოს სახელმწიფო ინსტიტუტები, ისევ ტერორისტი ნაციონალები რომ არ მოვიდნენ ხელისუფლებაში, იმ გეოპოლიტიკურ კონტექსტში, რომელშიც ვართ, რადიკალური ნაბიჯები, ხელისუფლების დესტაბილიზაციის და მისი დამხობისკენ მიმართული ქმედებები არის პირდაპირი მტრობა არა ხელისუფლების მიმართ, არამედ ქვეყნის წინააღმდეგ და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს იმის მიუხედავად, რა პირადი წყენა და დამოკიდებულებები უნდა გვქონდეს „ქართული ოცნების“ მიმართ.**

იქ დემოკრატიულ პარტიას, რომლებიც გლობალური ბოროტების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გადაიქცა, მოსახლეობის ნახევარი ჰყავს დაჰიპნოზებული თავისი მედიისა და ფინანსების, ასევე პოლიტიკური ინერციის მეშვეობით.

მათი მარიონეტები ჩვენთანაც — პატრონების მიერ დაფინანსებული მედია და ნჯო პროექტების წყალობით არსებობენ, თუმცა საბედნიეროდ, საქართველოში გაცილებით ნაკლები ადამიანის გამოთაყვანება და ზომბირება მოახერხეს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საშიშები არ არიან.

ზომბი ყოველთვის საშიშია და ზომბის მდგომარეობა გადამდები.

ამიტომ ფხიზლად უნდა ვიყოთ და ზომბებს დესტრუქციის საშუალება არ მივცეთ.

მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოს მაგალითზე მაინც დავინახოთ, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ამ საფრთხისადმი არასერიოზულმა დამოკიდებულებამ.

**— ამ ყველაფრიდან გამომდინარე, გიორგი (ჟორიკა) რურუა პოლიტპატიმარი გამოდის?**

— „პოლიტპატიმარი“ — სანამ ამ სიტყვის მნიშვნელობას დაამახინჯებდნენ პოლიტიკურად ანგაჟირებული საერთაშორისო ლიბერალური ორგანიზაციები, ნიშნავდა ტირანიასთან მებრძოლ ადამიანს, რომელიც იდევნებოდა ამა თუ იმ რეჟიმის მიერ.

არცთუ ძნელი გასაგები უნდა იყოს, რომ თუ დამნაშავის მიმართ სახელმწიფო ორგანოებმა დაარღვიეს პროცედურა, მაგალითად, დაკავებისას, ან დაკითხვისას, ან სასამართლომ იმსჯელა მიკერძოებულად, ან კიდევ აღნიშნულ დამნაშავეს რამე შეხება ჰქონდა პოლიტიკასთან, არ ნიშნავს, რომ ის არის უდანაშაულო და მით უმეტეს, სამართლიანობისათვის მებრძოლი და საერთო საქმისთვის თავგანწირული პოლიტპატიმარი, ანუ გმირი.

ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ იმოქმედა არასწორად, ამაზე პასუხი უნდა აგონ კონკრეტულმა პირებმა და არა იმას, რომ ქურდი იქნება, მკვლელი თუ სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორი, არის საერთო საქმისათვის უანგაროდ მებრძოლი ადამიანი, რომლის აღმნიშვნელ სიტყვას — პოლიტპატიმარს ასე უღმერთოდ აგორავებენ ტალახში.

**— მაგრამ ბიძინა ივანიშვილი პუტინის მოყვანილიაო და ცხადია, „ქართული ოცნებაც“, ამ ლოგიკით, რუსული აგენტურა გამოდის.**

— არ მგონია, ვინმეს იმდენი გაეკეთებინოს რუსეთის გავლენის გასაძლიერებლად საქართველოში, რაც გააკეთა თვით აშშ-ის საელჩომ და ამ ქვეყნის მიერ მხარდაჭერილმა პოლიტიკურმა ძალებმა ჩვენს ქვეყანაში.

გავიმეორებ ბანალურ მოსაზრებას — ის ძალები, რომლებსაც შეერთებული შტატები მხარს უჭერს, ჩვენთან წარმოდგენილ, ვგულისხმობ, ბოკერიას, რესპუბლიკელებს, ე.წ. პროდასავლურ ძალებს, პირდაპირ



ალერგიას იწვევენ ქართულ მოსახლეობაში, ვინაიდან ისინი ებრძვიან ყველა ტრადიციულ და ზოგადად, ყველანაირ ღირებულებას. როდესაც ამათ წარმოადგენენ მხარდამჭერებად და მათთან აქვთ ურთიერთობა საქართველოში, ეს, ბუნებრივია, იწვევს კონკრეტულ ემოციებს იმის მიუხედავად, რომ ყველა ხვდება, რაოდენ სერიოზული ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა. მოსახლეობის უდიდეს ნაწილში ეს განწყობა სუფევს, რაც უნდა მალოს ეს მეინსტრიმულმა მედიამ, ხოლო იმედები იმის შესახებ, რომ ქალბატონი დეგნანი შეცვლიდა განწყობებს, სიმპტომებსაც ვერ ვხედავთ, ჯერჯერობით, რასაც ადასტურებს მისი ვიზიტი საქართველოს პროკურატურაში.

**— მართლაც გასაკვირია — რა საქმე აქვს ამერიკის ელჩს საქართველოს პროკურატურაში?**

— ეს ყოველგვარ ზღვარს სცილდება — რა შუაშია დიპლომატი, გენერალური პროკურატურა და ელჩის მხრიდან ინსტრუქციების მიცემა.

ჩემი ვარაუდით, ეს სწორედ რურუას საკითხს უკავშირდება და როცა აშშ-ი ჟორიკა რურუას ლობირებას იწყებს, იმ მოტივით, რომ, თურმე, ეს ყოფილა ჩვენს ქვეყანაში მთავარი საკითხი, სრულიად ბუნებრივია საზოგადოების რეაქცია.

იმ შემთხვევაში, თუ საუბარია არჩევნებზე და ოპოზიციას აქვს იმის მოლოდინი, რომ არჩევნებში გაიმარჯვებენ, რურუას ისედაც გაათავისუფლებენ, მაგრამ მშვენივრად ხვდებიან ნაციონალები, რომ არჩევნებში ვერ გაიმარჯვებენ და ახლა მიზანმიმართულად მოქმედებენ, რომ მოახდინონ „ქართული ოცნების“ სრული დემორალიზაცია. გამოიწვიონ მისი დაშლა, ხელისუფლების ჩამოშლა და „ოცნებისადმი“ ხალხში დარჩენილი ავტორიტეტის გაცამტვერება. აი, ეს მიზანი აქვთ და ამიტომ ფართხალებენ რურუას საკითხთან დაკავშირებითაც.

**— როგორც ზემოთ ბრძანეთ — ფლოიდის და რურუას თემები, გარკვეულწილად, უკავშირდება ერთმანეთს. რა ხდება — ნარკომანი, ზნედაცემული ფლოიდი და ასევე კრიმინალი რურუას საკითხები მსოფლიო ელიტების შეშფოთების საგნად არის ქცეული?**

— სახეზე გვაქვს მსოფლიო ელიტების სრული დეგრადაცია.

აშშ-ში ჯორჯ ფლოიდი გახდა წმინდანი და ქვითინებენ მის ცხედართან, საქართველოში კი სამი კრიმინალი პოლიტპატიმრად გამოგვიცხადეს. ეს ერთი და იგივე მოვლენის ნაწილია, რაც ნიშნავს, რომ ადამიანის პირადი მსხვერპლი კი არ არის მთავარი, ან ადამიანის მორალური თვისებები, არამედ მთავარი მსჯელობის საგანი ხდება, იმოქმედა თუ არა სახელმწიფომ სწორად მკვლელთან მიმართებაში.

დიდი ხანია უკვე მიმდინარეობს სამართლებრივი სისტემის დეგრადაცია, ანუ რაც უნდა სასტიკი მკვლელობა ჩაიდინოს ვინმემ, სახელმწიფო ორგანოებმა თუ დაარღვიეს სამართლებრივი პროცედურა, მკვლელი შეიძლება გამოცხადდეს, მაგალითად, პოლიტპატიმრად.

მოკლედ, მკვლელი თუ არის პოლიტიკასთან შეხებაში და ასეთი ბევრია, თუ სახელმწიფო ორგანოებმა არასათანადო პროცედურით იმოქმედეს, ეს მკვლელი, შეიძლება, პოლიტპატიმრადაც კი გამოაცხადონ, იმის მიუხედავად, რომ მკვლელობა დადასტურებულია.

ღირებულებათა და შეხედულებათა გადაფასებასთან ერთად მიზანმიმართულად მიმდინარეობს ფაქტების თავისებური ინტერპრეტაციები.

მაგალითად, ერთ ტელევიზიაში ამასწინათ გამოიყვანეს გენერალი, რომელსაც გადაცემის წამყვანმა სულ გმირი ეძახა, იმის მიუხედავად, რომ თავად გენერალი ეწინააღმდეგებოდა წამყვანს ამ შეფასებაში.

იმავე ხანებში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ცნობილი სახე გამოვიდა და კანონიერი ხელისუფლების დამამხობლებზე პუტჩისტების იარლიყი უარყო — გამსახურდიას მინისტრები დაერივნენ ერთმანეთს, ეს პუტჩი და გადატრიალება არ ყოფილაო.

**— ბატონო სოსო, თუ პუტჩი საერთოდ არ ყოფილა, მაშინ ჟორიკა**



**რურუა გმირი გამოდის, ისევე, როგორც ყარყარაშვილი, იოსელიანი, კიტოვანი და სხვები. ანუ ეს ახალი კონცეპციაა რაღაც?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ბოლო ათეული წლებია არაფრის შეფასება საქართველოში არ მომხდარა. შესაბამისად, ვერ ვაფასებთ მოვლენებს და მოვლენების შეფასების მაგივრად ვქმნით მითებს.

ბოლოდროინდელი ამბავი ავიღოთ — ექიმი-ვაჟას ისტორია. როგორც წვეთში ჩანს ოკეანე, ისე ჩანს ჩვენი სენი ამაში.

იმის მაგივრად, რომ ვიმსჯელოთ, ერთმანეთს ვლანძღავთ და ვაგინებთ. ვერ გამოგვაქვს დასკვნები.

ექიმ-ვაჟას, განსაკუთრებით, არ ვეხები, უამრავი ფსევდოგმირი გვყავს ბოლო ხანებში. მაგალითად, ის ქართველი ახალგაზრდები, საზღვართან რომ მივიდნენ და უკანალები აჩვენეს რუს სამხედროებს და ბორდერიზაცია რომ „შეაჩერეს“.

უფრო დიდი დაცემა წარმოგიდგენიათ?!

მაგრამ, როცა საუბარია ტრაგიკულ სამოქალაქო ომის მოვლენებზე, იქაც იგივე ნარატივია. ეს მოვლენა უნდა შეაფასოს განათლებულმა, ფაქტების მცოდნე ადამიანებმა.

გაირკვეს დოკუმენტურად, რას აკეთებდა ერთი მხარე და მეორე მხარეც.

ამის შემდეგ უნდა მოხდეს კონკრეტული ადამიანებისთვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა, რაც არის საერთაშორისო პრაქტიკაში.

არაფერი არ ამართლებს საკუთარ ხალხთან ომს და შეიარაღებულ გადატრიალებას!

**— უახლოეს წარსულზე ფილმიც გადაიღეს ახლახან, რომელიც იმდენად სიმბოლურია, ამ სიტყვის ყველაზე მდაბიო გაგებით, რომ ვერავინ მიხვდება, ფილმი „ნაცმოძრაობის“ რეჟიმზეა თუ რომელიმე სხვა ქვეყნის დიქტატორის მოქმედებებზე.**

**რაც შეეხება შეფასებებს — „ქართული ოცნების“ პიარსამსახურის ერთ-ერთმა მთავარმა წარმომადგენელმა თქვა ტელევიზიით ამასწინათ ჩვენ ყველაფერი ვიცოდით „ნაცმოძრაობის“ მიერ ბიუჯეტის ძარცვაზეც და სხვა კრიმინალურ ქმედებებზეც, მაგრამ კოჰაბიტაცია ვარჩიეთო... ანუ დანაშაულებების ლეგიტიმაციაზე მაქვს საუბარი.**

— ჩვენ ვიმყოფებით ე.წ. პოსტსიმართლის ეპოქაში, ანუ ეს არის დრო, როცა სიმართლემ მნიშვნელობა დაკარგა და საერთოდაც, რასაც ბოლო ჟამს ეძახდნენ, სწორედ ეს არის.

სიმართლე სიმართლეა. ის გამომჟღავნებულია, მაგრამ მას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და ეს გლობალური პროცესი გახდა, სამწუხაროდ.

ის, რაც ხდება შეერთებულ შტატებში ჯორჯ ფლოიდთან დაკავშირებით, ეს არ არის შემთხვევითი და როგორც ვთქვი, ეს მთელი ეპოქის სიმბოლოა, სხვათა შორის.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება 11 სექტემბრის ტერაქტი, როცა კოლინ პაუელი გამოვიდა ხელში სინჯარით და თქვა: მასობრივი განადგურების იარაღი აღმოვაჩინეთო და ხელი ერაყისკენ გაიშვირა. ამ მოტივით შეიჭრნენ ერაყში და იმსხვერპლეს მილიონობით მშვიდობიანი ერაყელი. დაანგრიეს და მოსპეს ერაყის ძველი კულტურის ნაშთები და თანამედროვეობა. თავი დავანებოთ ამასაც, ადამიანების სიცოცხლე მოსპეს სრულიად უსაფუძვლოდ. ახლა გამოდის კოლინ პაუელი და ტრამპის წინააღმდეგ ილაშქრებს ბუშთან ერთად. ტრამპმა ზუსტად ის უპასუხა, რაზეც ვისაუბრე დღეს — სად არის ის კოლბა და მასობრივი განადგურების იარაღიო.

ეს ხდება დღეს.

ხოლო, რაც მოხდა ერაყში, რა საშინელი ადამიანური ტრაგედიები დატრიალდა, ამის ფონზე ტრამპი და პაუელი კამათობენ იმაზე, თუ სად წაიღო კოლბა პაუელმა.

გულუბრყვილობაა დღეს სამართლიანობაზე ლაპარაკი საერთაშორისო დონეზე, ჩვენთან კი, რომ არ ჩამოიშალოს სახელმწიფო ინსტიტუტები, ისევ ტერორისტი ნაციონალები რომ არ მოვიდნენ ხელისუფლებაში, იმ გეოპოლიტიკურ კონტექსტში, რომელშიც ვართ, სანამ არ გამოჩნდება ალტერნატივა, რადიკალური ნაბიჯები, ხელისუფლების დესტაბილიზაციის და მისი დამხობისკენ მიმართული ქმედებები არის პირდაპირი მტრობა არა ხელისუფლების, არამედ ქვეყნის წინააღმდეგ და ეს ყველამ უნდა გაითვალისწინოს, იმის მიუხედავად, რა პირადი წყენა და დამოკიდებულებები უნდა გვქონდეს „ქართული ოცნების“ მიმართ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# დამოუკიდებელ საქართველოს ირაკლი ღარიბაშვილზე უკეთესი თავდაცვის მინისტრი არ ჰყოლია!



### დაკარგული ღირსების დაბრუნება

1991 წლის 2 იანვრის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოს ჰყავს თავდაცვის მე-18 მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი.

ჩვიდმეტთა შორის იყვნენ ღირსეულნიც და უღირსონიც, ერთგულნიც და მოღალატენიც, მაგრამ ამჟამინდელისგან განსხვავებით, ლეგენდებს არც ერთზე არ ჰყვებიან.

ლეგენდებიც არის და ლეგენდებიც... როგორც ჯარისკაცები და ოფიცრები ამბობენ, მათ 2019 წლის 8 სექტემბრის შემდეგ სრულად დაიბრუნეს 2008 წლის აგვისტოში დაკარგული ღირსება და ეს მოხდა ირაკლი ღარიბაშვილის წყალობით: მნიშვნელოვნად გაიზარდა სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასები, დაიწყო მათი ოჯახებისთვის ბინების მშენებლობა, გაუმჯობესდა კვება, ჩაცმა, დახურვა, პირობები, შეიცვალა მიდგომები – 2020 წლის ბოლომდე ყველა ბაზაზე არსებული ყაზარმა იქნება გარემონტებული ისე, როგორც შეესაბამება ნატოს სტანდარტებს. განსაკუთრებით მადლიერნი არიან სამხედრო ვეტერანები. თავადვე აღიარებენ, რომ ასეთი დაფასება და ყურადღება არც ერთი მინისტრის პერიოდში არ ღირსებია თ.



### ირაკლი ღარიბაშვილის გეგმა

თავდაცვის ახალი მინისტრი საზოგადოების წინაშე წარსდგა სიტყვებით: „მე ვარ უაღრესად მოტივირებული, რომ ბოლომდე დავიხარჯო, პრემიერ-მინისტრობის დროს სამინისტროსთვის და ჯარისკაცებისთვის ვერ გავაკეთე იმდენი, რამდენიც მქონდა მოაზრებული. ჯარის თემა უნდა შევიდეს ყველა ოჯახში, ჯარის პოპულარიზაციის თემა უნდა დავიწყოთ ბაღიდან, სკოლებიდან, მაქსიმალურად უნდა შევძლოთ ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთების ამოწევა. ჩვენ გვაქვს უდიდესი გამოწვევა, ეს არის ქვეყნის ოკუპაცია, ჩვენი ტერიტორიის 20% არის ოკუპირებული. ამ ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი ჯარი იყოს ძლიერი... მე, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენი ჯარის გაძლიერება ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ არის მიმართული. ჩემი მინისტრობის დროს ჯერ კიდევ და შემდეგ, პრემიერობის დროს, ერთ-ერთი მთავარი პროექტი, რაც მქონდა, ეს იყო ტყვიის საწარმოს მშენებლობა საქართველოში. ჩვენ ვაგრძელებთ ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებებისა და რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულებას პრინციპით – მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში. ამერიკასთან, ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან ერთად, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც 2020 წლის ჩათვლით მომზადდება და აღიჭურვება თავდაცვის ძალების ქვეითი ბატალიონები“.

ამ თემაზე, ანუ ირაკლი ღარიბაშვილისა და თავდაცვის სამინისტროს გეგმებზე უსასრულოდ შეიძლება საუბარი, მაგრამ ამჯერად ამით დავკმაყოფილდეთ, მშრალი ფაქტებით და ციფრებით აღარ გადაგღლით.

### ვინ არის ირაკლი ღარიბაშვილი?

დაიბადა და გაიზარდა დედოფლისწყაროში, ჩვეულებრივ ოჯახში. 1999–2004 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. შემდეგ სწავლობდა სორბონის (პარიზი, საფრანგეთი) უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 2005 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი. როგორც ხედავთ, ურიგო განათლება არ მიუღია. რაც შეეხება სამუშაო გამოცდილებას, 2005–2008 წლებში იყო სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტის თანაშემწე. 2006 წლიდან 2012 წლის 14 თებერვლამდე იყო საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე. სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა მრავალი მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული პროექტი და პროგრამა კულტურის, განათლების, სოფლის მეურნეობის, სპორტის, ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში.

2011 წლის 11 ოქტომბერს ე.წ. სამართალდამცველებმა მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით დააპატიმრეს პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი, რომელსაც ბრალდებად წაუყენეს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება. გენერალი თამაზაშვილი გახლავთ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი, მისი დაკავება მოხდა მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა გამოაქვეყნა პირველი წერილი (2011 წლის 7 ოქტომბერს) და პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე განაცხადა. სააკაშვილის ბანდიტურმა დაჯგუფებამ, რომელიც იმხანად ხელისუფლებად იწოდებოდა, ათასნაირი სიბინძურე ააგორეს თამაზაშვილის წინააღმდეგ, სახელისუფლებო ტელევიზიებმა დაიწყეს დაუსაბუთებელი, ცილისმწამებლური გადაცემების მომზადება. პოლიციის გენერალი დადანაშაულებულ იქნა ნარკოვაჭრობის ხელშეწყობასა და მონაწილეობაში, ადამიანების გატაცებაში, პანკისის ხეობაში გამაგრებულ კრიმინალებთან თანამშრომლობაში. ასევე, მის სახელს დაუკავშირდა ყოველგვარი უსამართლობა, რაც ე.წ „გაი“-ში (საგზაო პოლიციაში) ხდებოდა 1996–2001 წლებში. შავი პიარის მიზანი კი იყო მხოლოდ ერთი – ირაკლი ღარიბაშვილი როგორმე უნდა მოეშორებინათ ბიძინა ივანიშვილის გარემოცვიდან, როგორც ერთგული, საიმედო და ენერგიული ადამიანი. მას შეუთვალეს კიდეც, ყველაფერი რიგზე იქნება, შენს სიმამრს გავათავისუფლებთ, თუკი ივანიშვილს ახლოს აღარ გაეკარებიო. შანტაჟმა არ გაჭრა, ჯერ ერთი, თავად თამაზაშვილმა შემოუთვალა ციხიდან, სადამდეც საჭირო იქნება, მანამდე ვიჯდები კამერაში, არც ერთი ნაბიჯით არ დაიხიო უკანო და მეორეც – თვით ირაკლი ღარიბაშვილსაც არ უფიქრია ივანიშვილის მიტოვება.

2012 წლის შემოდგომაზე სატანისტურ-ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა. საპარლამენტო არჩევნებამდე ირაკლი ღარიბაშვილი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ საქმიანობაში. იყო პარტიის დამფუძნებელი, წევრი და სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ გახდა პარლამენტის წევრი, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პროპორციული სიით. თუმცა საკანონმდებლო ორგანოში არ შესულა, ის დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად. ამ პერიოდში გამოცხადდა ფართომასშტაბიანი ამნისტია – საპატიმრო დაწესებულებები დატოვა 16 ათასამდე მსჯავრდებულმა, გათავისუფლდა 200-მდე მოქალაქე, რომლებიც პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დევნილნი და დაპატიმრებულნი. ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრობის პერიოდში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიზება და რესტრუქტურიზაცია. რეფორმის ფარგლებში გაუქმდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (სოდი), რომლებიც სინამდვილეში გახლდათ არაკანონიერი სადამსჯელო დანაყოფები. მისი მინისტრობის პერიოდს უკავშირდება უკანონო თვალთვალის დასრულება საქართველოში. 2013 წლის 5 სექტემბერს, უშუალოდ ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, საჯაროდ განადგურდა 110 კომპაქტური დისკი, რომლებიც დაახლოებით 181 საათის ხანგრძლივობის უკანონო თვალთვალის გზით მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების 144 ფაილს შეიცავდა. ეს ჩანაწერები პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, დიპლომატების, მათ შორის, უცხოელი დიპლომატების, სა-



სულიერო პირების შანტაჟსა და დაშინებას ემსახურებოდა.

31 წლის ირაკლი ღარიბაშვილი 2013 წლის 2 ნოემბერს პრემიერ-მინისტრად დასახელდა. მან ამ თანამდებობაზე ბიძინა ივანიშვილი შეცვალა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შეიძლება უსასრულოდ საუბარი იმაზე, რაც ირაკლის პრემიერობის დროს გაკეთდა ქვეყანაში, მაგრამ დავასახელებთ მხოლოდ ორს, რომლის გამოც მას ნამდვილად ეკუთვნის აპლოდისმენტები: პირველი – ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას; მეორე – მისი ძალისხმევით შეიქმნა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც დიდი შვება აღმოჩნდა ქართული სოფლისთვის, მეწარმეებისთვის, ფერმერებისთვის და საერთოდ, მუშა ადამიანებისთვის.

### ბაღლინჯოები ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ

ბაღლინჯოებმა, 2012 წლის შემოდგომაზე რომ გაიფანტნენ და ნეხვის გროვებს შეაფარეს თავები, ცოტაოდენი დროის გასვლის შემდეგ თავები მაინც წამოყვეს. დიახ, ისინი ნელ-ნელა გამოძვრნენ, მიიხედ-მოიხედეს, სუფთა ჰაერი ჩაყლაპეს, დაინახეს რა, ციხეებში ჩალპობას არ უპირებდნენ, უცებ გათავხედდნენ და დაიწყეს კიდევაც შეტევები ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ. ბაღლინჯოებს ჯერ გაუჩნდათ იდეა – ახალგაზრდა პრემიერი დაასახელეს „კახური კლანის“ მეთაურად. ზღაპარი იყო ასეთი: ჩაიგდო რა ღარიბაშვილმა ძალაუფლება ხელში, შეკრიბა ნათესავები დედის მხრიდან, მამის მხრიდან, ყველა მხრიდან და გამოუცხადა, ეხლა ჩვენი დროა, აბა, ჰე, შევესიოთ ბიუჯეტსო.

სინამდვილეში, არ ყოფილა არავითარი „კახური კლანი“, არ ყოფილა არანაირი სანათესაო, იყო ერთი-ორი, ვისაც ჰქონდა რაღაც მცდელობები. თუმცა ბაღლინჯოებს არ გასჭირვებიათ, ბუზი სპილოდ ექციათ და ღარიბაშვილისთვის ათასნაირი სიბინძურე დაებრალებინათ. ბევრი უტრიალეს მის ქონებას, სახლ-კარს, მაგრამ ისეთი ვერაფერი აღმოუჩინეს. ვერც მილიონები უპოვეს შვეიცარიის ბანკში და ვერც ბიზნესები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში.

თუმცა... სიტუაცია იმდენად აუტანელი გახდა, ეს ენერგიული, ქვეყნის მოყვარული კაცი გადადგა. 2015 წლის 23 დეკემბერს მან ასეთი განცხადება გააკეთა:

„ძვირფასო თანამემამულენო, ყველა ადამიანს აქვს არჩევანის საშუალება. დღემდე ჩემი თითოეული ნაბიჯი გამომდინარეობდა იმ პასუხისმგებლობიდან, რასაც არჩევანი მაკისრებდა, როცა ვიღებდი გადაწყვეტილებას, იქნებოდა ეს ოჯახის შექმნა თუ კარიერის არჩევა. ჩვენი ბრძოლა 2012 წელს ჩვენი ხალხის გამარჯვებით დასრულდა. მეამაყება, რომ წილად მხვდა პატივი, ამეღო უდიდესი პასუხიმგებლობა ერის წინაშე. ჩემი პრემიერ-მინისტრობის დროს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა მშვიდობა და სტაბილურობა. მოქალაქეებს დავუბრუნეთ ყველაზე მთავარი – თავისუფლება და ღირსება. ჩვენი მასშტაბური რეფორმებით შევქმენით მყარი საფუძვლები ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისთვის. მივაღწიეთ ისტორიულ შედეგებს – გავაფორმეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და დავიწყეთ თავისუფალი ვაჭრობა. მივიღეთ ვიზალიბერალიზაცია, რითაც შეუქცევადი გახდა ჩვენი ინტეგრაცია ევროპულ ოჯახში“.

რა თქმა უნდა, ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას მოჰყვა დიდი მითქმა-მოთქმა. იმწამსვე ყველა გახდა ექსპერტი და დაიწყეს იმის დადგენა, ის პრემიერობიდან გადააყენეს თუ თვითონ გადადგა, ბიძინა ივანიშვილმა გადააყენა თუ აშშ-ის ელჩის ზეწოლით მოხდა ყოველივე. სხვათა შორის, 2020 წლის აპრილში ბოლმით გულგასიებულმა დავით ბერძენიშვილმა აღიარა, მაშინ ბიძინა ივანიშვილი ჩვენ შევაშინეთ, დავაშანტაჟეთ, ირაკლი ღარიბაშვილი გადავაყენებინეთ, თანაც ისე, ღარიბაშვილმა არაფერი იცოდა და თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელი დავანიშნინეთო. ეს ის თინაა, ჯარისკაცების წინაშე „ბუშლატით“ და „ჩუსტებით“ რომ წარსდგებოდა ხოლმე და ყველას არცხვენდა. რა უნდა ჰქონოდათ ბერძენიშვილებსა თუ უსუფა-ხიდაშელებს ისეთი, ივანიშვილი რომ დაეშანტაშებინათ, ანუ შეეშინებინათ? ალბათ არაფერი, უბრალოდ დაიწყებდნენ პრანჭვა-გრეხვას, კოალიციიდან გავალთ, აშშ-ის ელჩს ამბავს მივუტანთ, რომ არაფორმალური მმართველი ბრძანდებითო და ასე შემდეგ. ბიძინა ივანიშვილის შეშინება, მით უფრო დაშანტაჟება ასეთი იოლი არ არის, შეიძლება რაღაც ეტაპზე დათმო, მაგრამ როგორც ვხედავთ, შემდგომში სიტუაცია თავისებურად დაალაგა და დღეს არის ის სურათი, რაც არის – ირაკლი ღარიბაშვილი ისევ მინისტრია, ხოლო ბერძენიშვილები, უსუფაშვილები და ხიდაშელები ისევ პოლიტიკურ სანაგვეში იქექებიან. ისე, რაღა დაგიმალოთ და... სასაცილოა ამათი საქციელი, ერთს ამბობენ და ავიწყდებათ მეორე, თუკი ივანიშვილი შეაშინეს და ღარიბაშვილი გადააყანებინეს, მაშინ რაღა შუაშია „კახური კლანი“, ან კიდევ ნათესაური კავშირები?

ერთი სიტყვით, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, პრემიერ-მინისტრი აგორებულ სიბინძურეს გაეცალა, სამი წლით გაუჩინარდა. ის აღმოჩნდა ერთადერთი ადამიანი, რომელსაც გადადგომის შემდეგ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი არ უგინებია. საქართველოში წესად არის ქცეული, ძალიან ბევრს უნდოდა, ძალიან ბევრს ჰქონდა სურვილი, ბიძინა ივანიშვილისთვის მუხლები დაეკოცნა, ბევრმა დეპუტატის მანდატიც მიიღო, თანამდებობაც, მაგრამ როცა მომდევნო მოწვევის სიაში აღარ ჩასვეს, ან თანამდებობიდან გადააყენეს, ეგრევე შეუტრიალდნენ და ათასი უბედურება დააბრალეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა მსგავსი არაფერი იკადრა, ის დარჩა ერთგულ ჯარისკაცად და კერძო სექტორში გააგრძელა საქმიანობა. თუმცა, ბაღლინჯოები მაინც არ ისვენებდნენ, ხლართავდნენ და ხლართავდნენ ინტრიგებს, რაღას არ იგონებდნენ, რაღას არ თითხნიდნენ... ისაო, „კახური კლანი“ პოლიტიკური პარტიის შექმნას გეგმავსო... არ არის გამორიცხული ამ პარტიაში მინდია ჯანელიძე და ალექსანდრე ჭიკაიძეც ვიხილოთო... ჩვენ ვიცითო, ნაღდი კულუარული ინფორმაცია გვაქვსო – „კახურ კლანს“ პოლიტიკური პარტიის შექმნა იმისათვის სჭირდება, რომ ხმაურიან დაჭერებს ასცდნენ საპარლამენტო არჩევნებამდე მაინცო... ისინი ფიქრობენ, რომ თუკი იქნებიან პოლიტიკური ქოლგის ქვეშ, მათი დაკავებები არ იქნებაო.

როგორც ხედავთ, ეს იყო ბინძური კამპანია ბაღლინჯოთაგან აგორებული, არც ერთი „ბრალდება“ თუ ე.წ. კულუარული ინფორმაცია არ გამართლებულა და ვერც გამართლდებოდა, რადგან ყოველივე იყო მტკნარი სიცრუე.

### ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება

სამწლიანი პაუზის შემდეგ, ირაკლი დაბრუნდა თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე, დაბრუნდა ღირსეულად და ყველა ჯარისკაცსა თუ ოფიცერს, ყველა ვეტერანს დაუბრუნა ღირსება. ჯარისთვის ღირსების დაბრუნება ნიშნავს ნებისმიერი ქართველის დაფასებას.

თუმცა ისევ წამოყვეს (ეს მოსალოდნელიც იყო) თავები ბაღლინჯოებმა და დაიწყეს, ღარიბაშვილს ნახევარმილიონიანი საათი უკეთიაო, ჯარში კორუფციააო... აგერ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს საათები უყიდაო, ძვირადღირებული „ბათინკები“ ჩააცვაო, ამ ყველაფერში ფული „მოტეხაო“. ე.წ. (ჟ)ოპოზიციონრები ისეთ რაღაცებს ჰყვებიან, რასაც თვითონ აკეთებდნენ 9 წლის განმავლობაში. ირაკლი ღარიბაშვილის პასუხი ამ „ბრალდებებზე“ ასეთია:

„ბოლო პერიოდში გააქტიურდა და პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს თავდაცვის სამინისტროს, როგორც უსაფრთხოების სექტორის ერთ-ერთი ფუნდამენტური უწყების დისკრედიტირების მცდელობის კამპანია, მასში ჩართული ძალები არ ერიდებიან მდარე ხარისხის დეზინფორმაციის ტირაჟირებას, რიგ შემთხვევაში დეზინფორმაციის კამპანია უხამს ფორმასაც იძენს – სამხედრო ფეხსაცმლის, კვების, ფორმის, ჩოხების, საათების თუ სადეზინფექციო ხსნარის შეძენის საკითხით მანიპულირებენ“.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია წარმატებებს უსურვებს ირაკლი ღარიბაშვილს და ქართულ ჯარს. ბაღლინჯოთა მიზანი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქმის მკეთებელთა იმიჯის შელახვა და გაკეთებული საქმეების დაკნინება. თუმცა, ეს მიზანიც ისევე ჩაფლავდება, როგორც ბევრი ჩაფლავებულა აქამომდე.

**„საერთო გაზეთი“**









# „პოლიტპატიმრები" ნაციონალურად

## ● ნაცმოძრაობის დროს 1200 პატიმარია მოკლული
## ● სააკაშვილს დავით გარეჯის გაყიდვაზე ხელი აქვს მოწერილი



*ვაგრძელებთ საუბრების ციკლს კუდის ყოფილ თანამშრომელთან ნიკა ბერიძესთან*

**ნიკა ბერიძე:** ირაკლი ოქრუაშვილის გენპროკურორობის დროს, 2004 წლის მარტის ბოლოს მოხდა გლდანის ეკლესიის დარბევა, რაც არ ყოფილა ხელისუფლების მხრიდან გადაცდომა, როგორც კოლექტიურ ნაცებს უნდათ შემოგვასაღონ, სინამდვილეში ეს იყო მაღალი ეშელონების მიერ განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული, რომლის ორგანიზატორი და ბრძანების გამცემი იყო ოქრუაშვილი. ეს „მარბიელები" მივიდნენ ტაძართან, სადაც სრული სიმშვიდე იყო, თუ რაიმე ინფორმაცია ჰქონდათ, მამა ბასილი ხომ გამოვიდოდა გარეთ და მაშინ შეეძლოთ უპრობლემოდ დაეკავებინათ, მაგრამ არა, ნაცების დევიზი ხომ საშინელებების მოწყობა იყო. სრული მარაზმი იყო, რაც ე.წ. სამართალდამცავებმა იქ მოიმოქმედეს, მამაკაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცები, არავინ დაინდეს. ჟურნალისტებსა და ტელეოპერატორებზე ვარ ძალზე განაწყენებული, ეკლესიის ჭიშკარ „ურალის" მარკის სატვირთო ავტომანქანას რომ აჯახებდნენ იქ პატარა ჩიხია, სადაც მაშინ ოთხი ბავშვი იყო, რომლებსაც სასიკვდილო საფრთხე შეუქმნეს. ეს არის აბსოლუტურად სარწმუნო ინფორმაცია, რაც არცერთმა ტელევიზიამ არ აჩვენა, ეს უკვე დანაშაულია, რადგან ჟურნალისტობაზე როცა გაქვს პრეტენზია, ყველა დეტალი უნდა გადაიღო და გაასაჯაროო. სხვათა შორის, იმ „ურალის" მძღოლი მალევე გარდაიცვალა. ზოგადი კადრები, რაც გვაჩვენეს ხომ საშინელება იყო, მაგრამ უარესი ტაძრის შიგნით მოიმოქმედეს, ამას მუსულმანებიც კი არ გააკეთებდნენ, რომელთა დამოკიდებულებაც ქრისტიანული სიწმინდეების მიმართ მოგეხსენებათ. სატვირთო ავტომანქანა რამდენჯერმე კი შეაჯახეს ჭიშკარს, მაგრამ ვერ შეანგრიეს, მერე მიიტანეს ლითონის საჭრელი ე.წ. რეზაკი, გაჭრეს კარი და შეცვივდნენ ნაგავი გია ბარამიძისა და გოგი თათუხაშვილის მეთაურობით სპეცრაზმელები. შიგნით რა მოხდა, ამას არავინ ამბობს, მხოლოდ მამა ბასილმა ამბობდა ერთხელ ინტერვიუში და ჟურნალისტმა არც კი დააცადა, ბოლომდე ეთქვა. ტაძარში შეცვივნულმა ხროვამ კედლებიდან მთლიანად ჩამოყარეს ხატები, შანდლები, სასანთლეები, სხვა წმინდა ნივთები ძირს დაყარეს და ფეხით შედგნენ, ერთი სიტყვით, უმოწყალოდ დაარბიეს იქაურობა. მამა ბასილს ჯერ ტაძარში სცემეს სასტიკად, მერე გამოიყვანეს გარეთ და სახალხოდ მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. განა მარტო მას მოექცნენ ასე ამაზრზენად, სხვა სასულიერო პირებსაც, მაგრამ აქცენტი მამა ბასილზე ჰქონდათ. ეს ე.წ. სპეცოპერაციაც მამა ბასილის დასასჯელად ჩაატარეს რადგან მათ ამხელდა, ნაძირალები რომ იყვნენ, ჩვენს რწმენასა და ეკლესიას რომ ებრძოდნენ. დარბევის ბრძანება სააკაშვილმა და ბოკერიამ გასცეს, ე.წ. ოპერაციას სამსახურებრივად ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო უშუალო შემსრულებელი სააკაშვილის პირადი გენერალი გოგი თათუხაშვილი იყო. ეს პერსონა ნაცრეჟიმის დროს თავიდან შინაგანი ჯარების სარდალი იყო, შემდეგ სააკაშვილმა თავისი პირადი დაცვის უფროსად გადაიყვანა, მოგვიანებით თავდაცვის სამინისტროში გადააპორტირა, მაგრამ გოგია-გენერალს რაღაც უთანხმოება მოუვიდა ოქრუაშვილთან. თათუხაშვილი ბოლოს ბაჩო ახალაიას მრჩეველი იყო და ხომ წარმოგიდგენიათ რა სადისტი იქნება თვითონაც. დღეს გამოდის საფრანგეთს მყოფი „ემიგრანტი" თათუხაშვილი და აცხადებს, რომ შვილი მოუკლეს, რაშიც მოქმედ ხელისუფლებას, ანუ „ქართულ ოცნებას" ადანაშაულებს. პირდაპირ ვამბობ, ამ ბატონის შვილი შალვა თათუხაშვილი ჩემი თანამშრომელი იყო, პირწავარდნილი ნარკომანი, ღმერთმა აცხონოს, მე გარდაცვლილებზე არ მინდა საუბარი, მაგრამ ამ მთავრობის მხრიდან არავითარი წამება არ ყოფილა, კი, აწამეს შალვა თათუხაშვილი, მაგრამ აწამეს თავისი გუნდის წევრებმა. დარწმუნებული ვარ, ამის შესახებ უშუალოდ







დათა ახალაიას მხრიდან იქნებოდა ბრძანება თუ მითითება გაცემული, რადგან შალვა თათუხაშვილი იყო ერთადერთი მოწმე, რომელიც ნავთლუღის სისხლიან სპეცოპერაციაზე სრულ ვერსიას აძლევდა გენპროკურატურას. აშკარად საეჭვო დროსა და ვითარებაში მოხდა შალვა თათუხაშვილის გარდაცვალება.

დავუბრუნდეთ ე.წ. პოლიტპატიმრების თემას, გლდანის ეკლესიის დარბევის მთავარი „იდეოლოგი" ბოკერია იქ უშუალოდ არ ყოფილა. სპეცრაზმს, როგორც გითხარით ბარამიძე და თათუხაშვილი შეყვნენ, მერაბიშვილი, ადეიშვილი, დათა ახალაია, ვასილ სანოძე გარეთ ელოდებოდნენ. სააკაშვილი, ბოკერია და ოქრუაშვილი, ეს სამეული იყო უშუალოდ ბრძანების გამცემი, შემსრულებლები ეს ბანდა, რომელიც ჩამოგითვალეთ. მამა ბასილს თავხედურად გაპარსეს წვერი, მიკროავტობუსში ჩააგდეს, მის მიმართ საშინელი შეურაცხყოფა იქაც გაგრძელდა, ასე მიიყვანეს ე.წ. ორთაჭალის ციხეში. მამა ბასილთან ნაცების მთავარი პრეტენზია იმაში გამოიხატებოდა, იეღოველებს ებრძვისო, თურმე ეს „უპატიებელი ცოდვა" ყოფილა. მე-5 საპყრობილე (საგამოძიებო იზოლატორი), სადაც მამა ბასილი მოათავსეს, თავად ხომ საშინელება იყო, მაგრამ თქვენ კარცერი უნდა გენახათ, ნესტის და ფეკალიების „საცავი". მამა ბასილს დაპატიმრების შემდეგაც არ ანებებდნენ თავს ეს ორი სატანა, ირაკლი ოქრუაშვილი და გიგა ბოკერია შედიოდნენ ციხეში და ემუქრებოდნენ. მამა ბასილი თითქმის ექვსი წელი უკანონოდ იხდიდა სასჯელს, თან ყველანაირი სტანდარტისა და უფლებების დარღვევით, მაგრამ არცერთ ე.წ. უფლებადამცველს ხმა არ ამოუღია მის დასაცავად. რამდენადაც ვიცი და ამას დაადასტურებენ კიდეც, რომ ოქრუაშვილი და ბოკერია მამა ბასილს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ხომ აყენებდნენ და გაუპატიურებითაც ემუქრებოდნენ. ამ საშინელებების „შემოქმედი" ოქრუაშვილი იყო პოლიტპატიმარი? ეს არ იყო გასული წლის 20 ივნისს პარლამენტთან რომ მოუწოდებდახალხს, ქუდზე კაცი უნდა გამოვიდესო. ოქრუაშვილი ხარ თუ ვინც ხარ, რა უფლება გაქვს ამდენი დანაშაულის ჩამდენს, რომ გამოდიხარ და რაღაც მოწოდებებს, მით უმეტეს სახელმწიფოს საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებ. ეს არის საზოგადოების, მთელი ჩვენი ხალხის შეურაცხყოფა. თურმე გიგი უგულავაც პოლიტპატიმარი ბრძანებულა. ეს ის უგულავაა, რომელიც მარტო ბიუჯეტის ქურდობაში კი არა, უამრავ სხვა დანაშაულშიცაა გარეული. 2009 წლის მაისში თიანეთის გზატკეცილზე, ჩვენი მეომრები გია კრიალაშვილი, კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე რომ ჩაცხრილეს, იქ სისხლის გუბეები იდგა. უგულავამ დაახლოებით 70 მეტრზე ასფალტი ამოაჭრევინა (ეს ჩემს ვიდეომიმართვაშიც მაქვს აღნიშნული) იმ მიზნით, რომ ნაცრეჟიმის ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის კვალი წაეშალა. ესეც აშკარა დანაშაულია და უგულავა პასუხისგებაში უნდა იყოს მიცემული. ბრძანება ვისგან ექნებოდა უგულავას, ცხადია, ეს სააკაშვილის გარეშე დანაშაულის ადგილზე რომ არ მივიდოდა „წმენდის" ჩასატარებლად, ორი აზრი არ არსებობს. ეს ის უგულავაა, რომელსაც 48 მილიონი კი არა, 148 მილიონიც (თუ მეტი არა) აქვს გაფლანგული. ეს ის უგულავაა, რომელიც პირადად „ამარაგებდა" სოდ-სა და კუდ-ს ძვირადღირებული ავტომანქანებით, თუმცა ამაზე ახლა არავინ საუბრობს. თბილისის ქუჩებში რომელი ავტომანქანაც მოეწონებოდათ ნაცების ლიდერ-შიფს, პირდაპირ იპარავდნენ და მიყავდათ „მოდულის" შენობასთან, რაც უშუალოდ უგულავას დავალებით ხდებოდა. შემდეგ ამ ავტომანქანების მეპატრონეებს იბარებდნენ შსს-ში, ემუქრებოდნენ „წამალს", იარაღს ჩაგიდებთო, ან სხვა რამეს „შეგიკერავთო" და იძულებით აფორმებინებდნენ ამ ძვირადღირებულ ავტომანქანებს თავიანთ სახელზე.

**- ყველაზე მეტად ის ფაქტი მახსოვს, ცნობილ ფეხბურთელს რომ ჩამოართვეს ჯიპი და უგულავა „დაკატაობდა", რომელსაც თუ არ ვცდები მაშინ უშიშროების სამსახურის შეფის მოადგილე იყო. საგზაო პოლიციის მაშინდელმა „ვარდების ტალღაზე" მოსულმა შეფმა გააჩერა უგულავა-„გონშჩიკი", რაც თანამდებობად დაუჯდა იმ წესრიგის დამცველს.**

- დიახ, უგულავა კურირებდა ამ „სფეროს", ნაკლებფასიანს არ კადრულობდნენ, 100-150 ათასდოლარიანი ავტომანქანები იყო ამათი სამიზნე. ხომ გითხარით, კოდუა-ახალაიებს და მათ გუნდს რომ მოეწონებოდა რომელიმე ავტომანქანა, უგულავას მეშვეობით ან ჩამოსვამდნენ პატრონს, ან გაჩერებულს მოიპარავდნენ, გადაიყვანდნენ „მოდულის" ეზოში და მიდიოდა „მოლაპარაკება". ასეთი უამრავი შემთხვევა იყო და ამ და უარესი დანაშაულების ჩამდენნი არიან პოლიტპატიმრები? მივმართავ ჩვენს ე.წ. მეგობარ-პარტნიორებს, სად იყვნენ 2004–2012 წლებში, როცა ნაცრეჟიმი ქუჩაში ხოცავდა უდანაშაულო ახალგაზრდებს, ციხეებსა და სამალავებში რომ აუპატიურებდნენ ადამიანებს? ბაჩო ახალაია პატიმარ ქალებსაც აუპატიურებდა „მატროსოვის ციხეში", თუმცა ეს კადრები არ ჩანს. დემოკრატია-უფლებების



ე.წ. დამცველნი მაშინ რატომ არ იღებდნენ ხმას?

### ნაცრეჟიმი მეომარი პატრიოტების წინააღმდეგ

ნიკა ბერიძე: წლების განმავლობაში ვისმენ აბსურდულ ბრალდებებს ამ ვაი-ოპოზიციისგან, სინამდვილეში კოლექტიური ნაცებისგან, რომ მოქმედი ხელისუფლების პირობებში თურმე ჩვენი ჯარისკაცების უფლებები ირღვევა, თითქოს სამხედრო მოსამსახურეებს სამსახურიდან უშვებენ და თურმე მთავრობას ამიტომაც აკრიტიკებენ. ერთ კონკრეტულ ფაქტს მოგიყვებით და თავად განსაჯოს საზოგადოებამ, ვინ და როგორ არღვევდა მეომრების უფლებებს. 2009 წლის დეკემბერში, ფაქტობრივად, ომი ახალი დამთავრებული იყო, 12 ქართველი პარტიზანი რომ ჩამოიყვანეს ზუგდიდის ციხიდან, რომლებიც აბსურდული ბრალდებებით ყავდათ დაჭერილი. 2008 წელსაც ჩამოიყვანეს ზუგდიდიდან ორი პარტიზანი, ისინიც ასე გაურკვეველი მიზეზით დაკავებულები, სასტიკად აწამეს, მერე სად გაქრნენ არ ვიცი, არ გამოვრიცხავ რომ ცემაში შემოაკვდათ და სადღაც გადაყარეს. პერიოდში დათა ახალაია კუდ-ის, ანუ ჩემი უშუალო უფროსი იყო, მეგის ქარდავა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე, ბაჩო ახალაია თავდაცვის მინისტრის მოადგილე გახლდათ, მაგრამ ის განაგებდა ყველაფერს, მინისტრი დავით სიხარულიძე ფორმალურად იკავებდა ამ თანამდებობას. ზუგდიდში რა საშინელებებიც ხდებოდა, ორგანიზებას მეგის ქარდავა და თენგიზ გუნავა უკეთებდნენ, მაგრამ მთავარი ფიგურა ქარდავა იყო, გუნავას უბრალოდ ერქვა სამხარეო-პოლიციის უფროსი. პარტიზანები, მათ შორის ეს ბიჭებიც პატრიოტები იყვნენ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, იმიტომ, რომ მათ დაკარგეს ჯანმრთელობა, ოჯახები და ბევრმა სიცოცხლეც. რაც შეეხება ამ 12 კაცის დაკავების მიზეზს, ვითომდა ნაცებს „ოპერატიული" ინფორმაციები ჰქონდათ, რომ აქაოდა, ზუგდიდში რუსების დესანტი უნდა შემოსულიყო, რაც იყო სრული აბსურდი. რუსებს შემოსვლა თუ მოუნდათ, ნებისმიერ დროს შემოვლენ, რაში ჭირდებათ დესანტი. მეგის ქარდავამ ამ ბიჭებს შესთავაზა, „დესანტის" გაუვნებელყოფაში დაგვეხმარეთო, რაზეც მათ ლოგიკური პასუხი გასცეს, სახელმწიფო ხართ, ყოფილ მეომრებს რატომ გვეუბნებით, გყავთ სპეცდანიშნულების ამხელა დანაყოფები და მათ ჩაატარებინეთ ეს ღონისძიებაო. მათ ადგილზე მეც და ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი უარს იტყოდა ამგვარ წინადადებაზე და რატომ — როცა ასე ვთქვათ, არალეგალური ხარ, არცერთ სახელმწიფოებრივ ძალოვან სტრუქტურაში არ გაფორმებული და ასეთ დავალებას გაძლევენ, შენ არ ხარ დაზღვეული, რომ სადაც მიგითითებენ, იქ მიხვიდე და ან დანაღმული არ იყოს ის ტერიტორია, ანდა შეიარაღებული ჯგუფი არ დაგხვდეს და ცეცხლი გაგიხსნას. ამ ბიჭებს სადაც უშვებდნენ, იქაც უკვე იქნებოდა ხაფანგი, მივიდოდნენ ესენი და ყველას ჩახოცავდნენ. ნაცრეჟიმს ასეთი რამ არაერთხელ გაუკეთებია, ოპერაციაზე გაგზავნილი დაჯგუფება ან თავისიანების მიერვე ჩადებულ ნაღმებზე აფეთქებულა, ან იქ ჩასაფრებულ ქართველებს გაუხსნიათ ცეცხლი და ურთიერთსროლების დროს ამოუხოციათ ერთმანეთი.







მერე ამ ყველაფერს ნაცჯალათები ტელევიზიით ისე აშუქებდნენ, რომ თითქოს რუსულ დესანტის დანაღმულ ტერიტორიაზე აფეთქდნენ, თუ შებრძოლება მოუწიათ. მე არ ვამბობ, რომ რუსები ანგელოზები არიან და ჩვენთვის არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ უმეტესწილად ამ ე.წ. პარტიზანული თუ სხვა სახის სპეცოპერაციების დროს, ჩვენი მეომრები ქართველების ხელითვე იხოცებოდნენ. ასე რომ, ამ მებრძოლებმა საკუთარი სიცოცხლე დაიცვეს, პირდაპირ ვამბობ, არ ენდნენ ნაცხელისუფალთ, მოითხოვეს ოფიციალურად გაგვაფორმეთ სამსახურში და პრობლემა არ არისო. მეგის ქარდავას ეს პასუხი არ ესიამოვნა, ახალაიების გაწბილება მოუწევდა, ეს მათი დავალება იყო ზემდგომებთან შეთანხმებით. ზუსტად 3–4 დღეში დაიჭირეს ეს ბიჭები, ჯერ ზუგდიდის ციხეში ყავდათ და მერე თბილისში, „მოდულის" შენობაში ჩამოიყვანეს. ერთ-ერთ მათგანს პირადად ვესაუბრე, ერთი არ გაუუპატიურებიათ, თორემ დანარჩენი ყველაფერი აკადრეს. ზამთრის სიცივეში 12-ვე მათგანი სრულიად შიშვლები ყავდათ საკანში, სადაც ვიდეოკამერა ჰქონდათ დაყენებული და ყველაფერს იღებდნენ. ნაცები ხომ პათოლოგები იყვნენ, ყველაგან, მათ შორის ერთმანეთის საძინებლებშიც კი ჰქონდათ კამერები დამონტაჟებული და იღებდნენ.

პარტიზანებზე ამგვარმა დამოკიდებულებამაც რომ არ გაჭრა, დათა ახალაიამ ბრძანება გასცა, თბილისში ჩამოიყვანეთო, ღამის 11 საათი იქნებოდა ეს საცოდავები „მოდულის" შენობაში რომ მოიყვანეს. ისინი თავიდან წინასწარი დაკავების იზოლატორში ჩაგვაყვანინა ახალაიამ. დაკავებულებს აშკარად ეტყობოდათ, რომ სერიოზული ნაცემები იყვნენ. ახალაიამ მოგვიანებით პატიმრები სარდაფიდან ზევით აგვაყვანინა, სამი მათგანი მე ავიყვანე, ვერ ავხსნი იმ საშინელებას, რაც მებრძოლ ბიჭებს თავს დაატეხეს, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვყვე. იქ იყო ოპერატიული თანამშრომლების სასადილო ოთახი, იქ შეიყვანეს, ახალაია თავის კაბინეტში არ შეიყვანდა იმიტომ, რომ ძალზე კომფორტულად ქონდა მოწყობილი იქაურობა და „იდილია" დაერღვეოდა, დაილეწებოდა ყველაფერი. თავად დათამ, მეგის ქარდავამ, მისმა ძმამ ლევან ქარდავამ, ახლა ციხეში რომ ზის, კუდ-ის მაშინდელმა მაღალჩინოსნებმა გია უდესიანმა და სოსო თოფურიძემ ავტომატის კონდახებით ისეთი სისასტიკით სცემეს ეს ადამიანები, რომ ვერ აღგიწერთ. ხომ გახსოვთ, 26 მაისს როგორ იყო ნაცემი ხალხი, ის რომ გაასამმაგოთზე გადაამრავლოთ. ამ ცემა-წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში გათენდა. წარმოიდგინეთ ექვსი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ სცემდნენ ეს ჯალათები, ყველა მათგანი ძლიერი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ იყო, რადგან საღად მოაზროვნე ადამიანი 10–15 წუთი თუ შეძლებს ასეთ ცემას. შედეგი ნული, მეომარი ბიჭები არც არარსებულ დანაშაულში გამოტყდნენ და ვერც თავიანთ შეთავაზებაზე დაითანხმეს.

დილის 6 საათი იქნებოდა დასისხლიანებული პატიმრები დაბლა, იზოლატორში რომ ჩავიყვანე თ. სამუშაო დღე იწყებოდა, „მოდულის" შენობაში რამდენიმე სამსხურია, უამრავი ხალხი შემოდიოდა და ჯალათებს არ უნდოდათ ისინი ენახათ. დავბანეთ და შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგეთ სასტიკად ნაცემი ბიჭები, დარწმუნებული ვარ, ახლა სადმე რომ შემხვდნენ, ძალიან თბილად მიმიღებენ ისე კარგად მოვექეცი. 9 საათი რომ შესრულდა, პატიმრები უკან ზუგდიდში დააბრუნეს, ჩემმა თანამშრომლებმა წაიყვანეს, რომელთა ნაწილი დღესაც მუშაობს ძალოვან სტრუქტურებში. იმის თქმა მინდა, რომ ეს საშინელება ჩემს გარდა კიდევ დაახლოებით რვა კაცმა ნახა, რიგითმა თანამშრომლებმა, განყოფილების უფროსმა და მისმა მოადგილემ. სადღაც ერთ კვირაში ორი იმ პატიმართაგანი ისევ ჩამოიყვანეს თბილისში და ერთი ცემაში შემოაკვდათ, დღესაც არ იციან სად გადააგდეს მისი ცხედარი. ამ საშინელების უშუალო ორგანიზატორი იყო თენგიზ გუნავა, ზუგდიდის ციხეს როლანდ ახალაიას დავალებით, ეს ნაგავი კურატორობდა. დღეს ეს ნაძირალა პარლამენტში ზის და სერიოზულ მუქარებს ახორციელებს საზოგადოებაზე, დარწმუნებული ვარ ნაციონალებს საღად მოაზროვნე ადამიანებზე „შავი" სია აქვთ გაკეთებული, რომ მათი ლიკვიდაცია მოახდინონ.

**- რამდენადაც მახსოვს, ნაცრეჟიმს ზუსტად მაგას საყვედურობდნენ ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები, რომ მათ საერთოდ მოსპეს პარტიზანული მოძრაობა, რითაც მტრის წისქვილზე დაასხეს წყალი. ამ მებრძოლების რეპრესია ნაცების ხსენებული „ოპერაციის" ნაწილი ხომ არ იყო და საერთოდ საიდან შეიტყვეს ამ ხალხის პარტიზანობის შესახებ?**

- ნაცებს ყველგან ყავდათ ჩასმული თავისი აგენტურა, ასე რომ ინფორმაციებს ფლობდნენ. იმ პერიოდში თვითონ ქმნიდნენ ვითომდა პარტიზანული დაჯგუფებებს და ხსენებულმა პარტიზანებმა უარი თქვეს იქ გაწევრებაზე. ეს ამბავი მაშინვე მიიტანეს ძმებ ახალაიებთან და მეგის ქარდავასთან, მათაც მაშინვე აცნობეს სააკაშვილსა და მერაბიშვილს. პარტიზანების დასჯა იყო მთავარსარდლის, თავდაცვის მინისტრის, შს მინისტრის და კუდის უფროსის მიერ ორგანიზებული დიდი სისასტიკით ჩადენილი დანაშაული. ეს ბიჭები ნამდვილი პარტიზანები იყვნენ, ხომ არსებობს ნაღდი პარტიზანული მოძრაობა, ნაცები ხომ ხედავდნენ ეს პარტიზანები რასაც აკეთებდნენ და შესთავაზეს მათთან თანამშრომლობა, ძმაკაცობა-მეგობრობა, მაგრამ ღირსეული ადამიანი მაგათთან ვერ იმეგობრებს. ამ ბიჭებისთვისაც შეურაცხყოფა იყო და სრულად სამართლიანი იყო მათი პოზიცია. როცა მეომარი ოფიციალურ სტრუქტურაში არ ხარ გაფორმებული, ჯვარი გწერია და რამე რომ მოგივიდეს, შენ ოჯახს არავინ მოიკითხავს.

ეს 12 პარტიზანი დიდი პროფესიონალი მეომრები იყვნენ და არა ისეთი მკვლელები, ქუჩაში რომ ხოცავენ ხალხს. 1200 პატიმარია მოკლული, ეს რაც ოფიციალურად არის შესული სასამართლო განჩინებითა და დაჭერით, მაგრამ ამაზე მეტია მოკლული ასე ვთქვათ, არაოფიციალურად, ასე ქუჩაში დაჭერილი, მოკლული და სადმე გადაგდებული. რამდენი სასაფლაო აღმოაჩინეს, სადღაც ხუთი წლის წინ ტელევიზიითაც აჩვენეს, რომელიღაცა სამარხიდან ძაღლებმა რომ ამოთხარეს ცხედრები, მიწაც კი არ ქონდათ ბოლომდე მიყრილი. ესენი იყო ასე არაოფიციალურად დაჭერილი პატიმრების ცხედრები, მაგრამ ამას არავინ ამბობს, ბოდიში მომითხოვია, ფეხებზე კიდიათ. ჩუმად რომ გაყავდათ დახოცილები და მარხავდნენ, ის ხალხი იყო, სამარეც კი არ აღირსეს. რაც ხდებოდა ამ ქვეყანაში, იყო სრული მარაზმი და თურმე ამის ჩამდენებს პასუხი არ უნდა მოსთხოვო. სააკაშვილი მხოლოდ ნაცების მთავარსარდალი იყო, საქართველოს მთავარსარდალი არ ყოფილა, რადგან მან ჩვენი ქვეყანა გაყიდა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, თან ჩალის ფასად, რათა საკუთარი ბიუჯეტი გაეზრდა. დავით გარეჯი, თქვენთანაც ვიტყვი და ტელევიზიითაც გავიმეორებ, რომ გაყიდულია. არავითარი მოლაპარაკებები აღარ მიდის, ეს არის უბრალოდ დროის გაჭიანურება, ერთხელაც გამოვა საგარეო საქმეთა მინისტრი, ან მისი მოადგილე და იტყვის, ასეთი ვითარებააო. ზოგიერთი ვითომდა დამოუკიდებელი, სინამდვილეში ნაცების სატელიტი პოლიტიკოსი რომ ტლიკინებს, სააკაშვილს ხელი არაფერზე მოუწერია, აქაოდა საზღვრის დამდგენ კომისიას ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობაო, არის სრული სიცრუე, ამ მაოხრებელ გზირს ყველაფერზე აქვს ხელი მოწერილი და გაყიდული. ახლა მიდის ჩვენსა და აზერბაიჯანის მთავრობებს შორის საუბარი, იციან ხალხში სერიოზული მღელვარება მოყვება ამ პროცესს, როცა ინფორმაცია გაჟონავს, როდემდე დაიმალება?! გასაჯაროვდება ის ინფორმაცი, რომ დავით გარეჯი დიდი ხნის წინ გაყიდა მიშა სააკაშვილმა მაშინდელი კულტურის მინისტრის ნიკა რურუას დახმარებით. აი, ეს ძალა, ეს ნაგვები არავითარი პოლიტიკოსები და მით უმეტეს პოლიტპატიმრები არ არიან. ესენი პარლამენტის შენობაში ისხდნენ კი არა, საერთოდ, საზოგადოებაში ვერ უნდა ჩნდებოდნენ, რადგან მათ ქართველ ერს სულში ჩააფურთხეს. ნაცებმა გაანადგურეს ყველანაირი ღირსება, ადამიანობა, კაცი კაცს, ძმა ძმას აღარ ენდობა და ეს ყველაფერი ამათი „დამსახურებაა".



**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# საქართველოს რეგიონები, დაახლოებით, 40 წელიწადში გაუკაცრიელდება



*გვესაუბრება პროფესორი ანზორ თოთაძე*

**— ბატონო ანზორ, საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ შემცირდა. შეგვახსენეთ, როდის იყო ყველაზე მრავალრიცხოვანი?**

— საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო მეცამეტე საუკუნის შუა ხანებში. 1254 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, მოსახლეობა საქართველოში 8 მილიონ კაცს უდრიდა. გამუდმებული შემოსევების შედეგად 1770 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 761 ათასამდე შემცირდა, ხოლო 1800 წელს 675 ათასი კაცი შეადგინა. ამ პერიოდში (1811–1813წლები) შავი ჭირის გავრცელების შედეგად, როგორც ისტორიული წყაროები ცხადჰყოფენ, მოსახლეობა თითქმის განახევრდა და დაახლოებით, 400 ათას კაცს გაუტოლდა.



**— რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში ბოლო ხანებში?**

— უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო 1992 წელს — 5467 ათასი კაცი. ცნობილი მიზეზების გამო ამ დროიდან მოყოლებული საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად მცირდებოდა და 2014 წლის აღწერის მიხედვით 3 713 804 კაცი შეადგინა.

საქართველოში სამი ათეული წელია თითქმის ყოველწლიურად უარესდება დემოგრაფიული მაჩვენებლები. ბოლო ხუთ წელიწადში 10 953-ით შემცირდა დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა. მხოლოდ გასულ 2019 წელს ქვეყანაში 48 296 ბავშვი დაიბადა, რაც 2842-ით ნაკლებია 2018 წელთან შედარებით. გარკვეულწილად, გაიზარდა მოკვდაობის მაჩვენებელიც. გასულ წელს ბუნებრივი მატება მხოლოდ თბილისში, აჭარასა და ქვემო ქართლში აღინიშნა, ხოლო ძირითადად ქართველებით დასახლებულ ყველა სხვა რეგიონში — მოსახლეობის ბუნებრივი კლება. კერძოდ, იმერეთში მოსახლეობის ბუნებრივი კლება 2018 წელს 1968 კაცს უდრიდა, ანუ 1968 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა, სამეგრელო-ზემო სვანეთში — 1401 კაცს, გურიაში — 575 კაცს, კახეთში — 648 კაცს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში — 402 კაცს, მცხეთა-მთიანეთში — 365 კაცს, შიდა ქართლში — 242 კაცს და სამცხე-ჯავახეთში — 41 კაცს.

**— ამჟერად ალბათ ყველაფერი ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება.**

— უკანასკნელ წლებში შობადობის რაოდენობის შემცირება ქვეყანაში ეკონომიკურ ვითარებას არ გამოუწვევია. ამის მიზეზია მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის არსებითი გაუარესება. კერძოდ, 1980–1989 წლებში, ათ წელიწადში ქვეყანაში დაიბადა 455 ათასი გოგონა, ხოლო 2000–2009 წლებში, ისევ ათ წელიწადში — 236 ათასი გოგონა, ანუ 219 ათასით ნაკლები. ამჟამად კი ყველაზე ნაყოფიერების ასაკში შედის გოგონათა ნაკლები რაოდენობა და რაც არ უნდა გაუმჯობესდეს ეკონომიკური მდგომარეობა, მომდევნო წლებში შობადობის შემცირებას ვერ ავცდებით.

მცირდება ქორწინებათა და იზრდება განქორწინებათა რიცხვი. სახეზეა ოჯახის კრიზისი. ოჯახის დანგრევასთან ერთად ადამიანებს ენგრევათ მომავალი, მცირდება შობადობა, ყოველწლიურად ათასობით ბავშვი რჩება ერთი მშობლის, ძირითადად, დედის ამარა. ყოველივე ეს იწვევს აუნაზღაურებელ, მეტად უარყოფით სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს, უარესდება ბავშვის აღზრდის ხარისხი. ჯერ კიდევ წინა წლებში, როდესაც განქორწინებათა აბსოლუტური მონაცემები შედარებით დაბალი იყო, ათასობით ბავშვი დედის ან მამის გარეშე რჩებოდა. მაგალითად, 1989 წელს საქართველოში განქორწინების შედეგად ერთი მშობლის ამარა დარჩა 4477 ბავშვი. ბოლო ნახევარ საუკუნეში თითქმის 200–250 ათასი ბავშვი იზრდებოდა ძირითადად დედის მზრუნველობის ქვეშ. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ საბავშვო ბაღებში ქალები მუშაობენ აღმზრდელებად, სკოლებში კიდევ — მასწავლებელთა 80 პროცენტი ქალია, ამასთან, ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 8–9 წლით მეტია მამაკაცის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და ძირითადად ბებიები ზრუნავენ ბავშვთა მოვლა-პატრონობაზე, ბავშვები მოკლებულნი არიან მამებთან, ბაბუებთან, საერთოდ, მამაკაცებთან ურთიერთობებს, მამაკაცურ ხასიათთან ზიარებას, უმუშავდებათ არამყარი ხასიათი და ჩვევები, უძნელდებათ სირთულეებთან გამკლავება, ფაქტები ჯიუტია, რაც უნდა ბევრი ვისაუბროთ გენდერულ თანასწორობაზე.

**— რა სიტუაციაა ამ მხრივ რეგიონში?**

— კავკასიაში ისტორიულად ჩამოყალიბებული დემოგრაფიული ბალანსი, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ძირითადად, დაირღვა საქართველოს ხარჯზე. თუ ისტორიულად სამხრეთ და საერთოდ, კავკასიაში ქართველები და მთლიანად საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო, დღეს ვითარება არსებითად შეიცვალა. 1926 წელს კავკასიის მთელი მოსახლეობის 35 პროცენტი, ანუ ყოველი მესამე კაცი საქართველოში ცხოვრობდა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2016 წელს მხოლოდ 15 პროცენტი შეადგინა, სამაგიეროდ, 1926–2016 წლებში აზერბაიჯანის ანალოგიური მაჩვენებელი 30 პროცენტიდან 41,3 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველოში მძიმე დემოგრაფიულ ვითარებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მისი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები შეუდარებლად უძლურია მეზოელი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან. მაგალითად, 2000-2009 წლებში, ათ წელიწადში საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ 53 000 კაცი შეადგინა, თურქეთში, თითქმის, 9 მილიონი, აზერბაიჯანში — 830 ათასი, ხოლო სომხეთში კიდევ 120 ათასი მეტი დაიბადა, ვიდრე საქართველოში, მაშინ, როდესაც სომხეთის მოსახლეობა რაოდენობრივად ჩვენს მოსახლეობაზე მცირეა. ანალოგიურ სურათს იძლევა ბუნებრივი მოძრაობის შეფარდებითი მონაცემებიც. კერძოდ, იმავე 2000–2009 წლებში მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე ბუნებრივი მატება საქართველოში 1, 2 კაცს შეადგენდა, თურქეთში — 13, 3 კაცს, აზერბაიჯანში — 9,8 კაცს, ხოლო სომხეთში — 3,8 კაცს.

**— სიტუაციას ამძიმესბს ისიც, რომ იცლება საქართველოს სოფლები.**

— დიახ, საგანგაშოა ის მდგომარეობა, რომ მოსახლეობისაგან ცარიელდება საქართველოს ისტორიული კუთხეები — რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი და სხვა მთიანი რეგიონები. მაგალითად, 1939 წელს რაჭაში 67 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამჟამად კი იქ მხოლოდ 16 ათასი კაცი ცხოვრობს. მე-19 საუკუნის დამდეგს რაჭაში ყოველწლიურად სამი ათასი ბავშვი იბადება, 2018 წელს კი 150 ბავშვი დაიბადა.

ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილების მეორე და შეიძლება ითქვას მთავარი მნიშვნელოვანი ფაქტორია ემიგრაციული პროცესები, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ 1991–2002 წლებში ემიგრანტების უმრავლესობა იყო არაქართველი მოსახლეობა, 2003–2014 წლებში კი ემიგრაციაში უკვე ძირითადად ქართველები წავიდნენ. ამასთან 2014 წელს მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობა შემცირებულია 1 687 037 კაცით.

სათანადო გაანგარიშების მიხედვით, დემოგრაფიული მონაცემების არსებული შენარჩუნების პერიოდში (ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის და ფოთის გარდა) საქართველოს რეგიონები, საშუალოდ, 41 წელიწადში გაუკაცრიელდება, მათ შორის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 22 წელიწადში, სამეგრელო-ზემო სვანეთი 29 წელიწადში, იმერეთი — 39 წელიწადში, გურია — 49 წელიწადში და ა.შ.

**— რა მექანიზმებით შეიძლება დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესება?**

— დემოგრაფიული ვითარების მყისიერად გაუმჯობესება შეუძლებელია. იგი უაღრესად აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაშიც კი ორ თაობას მაინც საჭიროებს.

დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება საუკეთესო ხელშეწყობის პირობებშიც კი, დროის მცირე მონაკვეთში (5 და თუნდაც 10 წელიწადში), სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, მით უმეტეს, უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების პირობებში. ამიტომ, აუცილებელია, დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება ხანგრძლივი პერიოდისათვის. საფრანგეთში სწორედ ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი დემოგრაფიული ღონისძიებების გატარების შედეგად გაუმჯობეს და დემოგრაფიული ვითარება და ამჟამად ევროპის ქვეყნებს შორის საფრანგეთში დემოგრაფიული მაჩვენებლები თითქმის ყველაზე უკეთესია.



დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების ინიციატორ ხელისუფლებას კი, ასე ვთქვათ, „უქმად“ ეხარჯება გაწეული საკმაოდ სოლიდური ფინანსური რესურსები. ის მხოლოდ ნაწილობრივ იმკის მის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგებს, თუმცა საბოლოოდ, მოგებული მთელი ერი რჩება. ამიტომ ხელისუფლებაში უფრთხიან მძიმე დემოგრაფიული ვითარების განსაღებისათვის კოლოსალური თანხების გაღებას და ამით დიდი ეროვნული ინტერესების უგულებელყოფა ხდება.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ამისთვის ვცოცხლობ, ამისთვის გავძელი ამდენი ხანი – მინდა მთელ საქართველოს გავაგებინო, ვინ არიან ის ჯალათები, რომლებმაც დედ-მამა და ხუთი ძმა მომიკლეს

ოპოზიცია გიორგი რურუას პატიმრობიდან გათავისუფლებას „გულამოსკვნილი“ ითხოვს და აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მის წინააღმდეგ ახალი საქმეების წინ წამოწევას ცდილობს.

როგორც „ნაციონალურ მოძრაობაში“ აცხადებენ, ხელისუფლებას სურს მედიამფლობელი პატიმრობაში დატოვოს და ამიტომაც მიმართავს პროპაგანდას ძველი საქმეების გახსენებით. ნუგზარ წიკლაურის განცხადებით — „ის რაც ხდება სასამართლოში და მედიაში, მიანიშნებს რომ პოლიტიზებულია ეს საქმეები. 30 წლის წინანდელი საქმეების წინ წამოწევა ცხადყოფს, რომ ხელისუფლებას სურს ნებისმიერი სხვა ბრალით რურუა დარჩეს პატიმრობაში.“ ანუ, წიკლაურის აზრით რურუას და მისი „რაზმის“ მიერ ათწლეულების წინ ჩადენილი სე-



რიული მკვლელობები, ძარცვა და სხვა დანაშაულები უკვე „ჩამოწერილია“. მათ მიერ დახოცილი ხალხი მაინც ვეღარ გაცოცხლდებიან და ვაცალოთ ჟორიკას ნაყაჩაღარი, სისხლით შეღებილი მილიონებით ტკბობა. რურუას დამცველებმა ზუსტად იციან, რომ ჯერ კიდევ მიხეილის „ზეობის ხანაში“ამხელდნენ ძმები რურუების სხვადასხვა ბინძურ კრიმინალურ შემოქმედებას. არა ერთ მკვლელობას, რეკეტს, ნარკოტიკების რეალიზაციას, მარადიორობას. სწორედ ძმების მიერ გამოწვრთნილი ზონდერ ბრიგადები ამტვრევდნენ თავ პირს ნაცრეჟიმის წინააღმდეგ გამოსულ მშვიდობიან მომიტინგეებს და აღნიშნული ქმედების გამო, სახალხო დამცველის ანგარიშშიც კი მოხვდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ ნიკოლოზ რურუა გახლდათ „ბოროტების“ საძმოს იდეოლოგი და სულის ჩამდგმელი. შემდგომ მიხეილ სააკაშვილთან „დაწინაურდა“ იდეოლოგიის დარგში და მკვლელობების და ტერორის ხიბლს ის ცოდვის შვილიც აზიარა. „ამისთვის ვცოცხლობ, ამისთვის გავძელი ამდენი ხანი — მინდა მთელ საქართველოს გავაგებინო, ვინ არიან ის ჯალათები, რომლებმაც დედ-მამა და ხუთი ძმა მომიკლეს.“ ასე იწყებოდა ოთხი წლის წინ „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული ექსკლუზიური ინტერვიუ 1992 წელს ამოხოცილი თორაძეების ოჯახის ცოცხლად გადარჩენილ წევრთან ქალბატონ **თამარ თორაძესთან**. სამწუხაროდ, ოთხმოცდაათიანი წლების სამართალდამცავებმა რიგი მიზეზების გამო ვერ ან არ გამოიძიეს ის საშინელი ტრაგედია რომელიც თამარის თერთმეტ სულიან ოჯახს ქარიშხალივით დაატყდა თავს... დღეს, „პოლიტპატიმრის“ დამცველები ურცხვად აცხადებენ, რომ თამარის გააქტიურება ხელისუფლების „დამსახურებაა“. „იმედს არ ვკარგავ, რომ ჩემი ოჯახის ტრაგედიით დაინტერესდება პროკურატურა, ჩემი ძმების მკვლელებს, ოთმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, არაერთი უმძიმესი დანაშაული აქვთ ჩადენილი...რურუას გავლენებზე მეღიმება, რადგან ოდესღაც ყველაფერი მთავრდება, ხანდახან ბევრად ცუდად, ვიდრე ცოდვებით დამძიმებულ ადამიანს წარმოუდგენია, მხოლოდ ღმერთმა იცის, ვის რა ელოდება, მე დასაკარგი რაც მქონდა დავკარგე. მათ დასაკარგი ძალიან ბევრი აქვთ და კიდევ „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს“...თამართან ჩაწერილი ამ ინტერვიუდან ორი წლის შემდეგ ნიკოლოზ რურუა გარდაიცვალა ხოლო სამი წლის შემდეგ ჟორიკა დააკავეს. „პოლიტპატიმრის“ ბედით ნაცხროვამ ოკეანისგაღმელი სენატორ-კონგრესმენები „დააინტერესა“ რამაც საზოგადოების ჯანსაღი ნაწილის აღშფოთება და „ბოროტების“ მიერ დაზარალებულების გააქტიურება გამოიწვია. თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ღიად, პირველად განაცხადა, რომ „პოლიტქილერი“ მხედრიონელი გახლდათ...1993 წლის 22 დეკემბერს, ვაკეში, შატბერაშვილის ქუჩაზე ავტომანქანაში ჩაცხრილეს ზაზა ვეფხვაძე, გია სვანაძე და თენგიზ ჩანტლაძე, რომელიც იმ დროს ავტომანქანაში იჯდა. მკვლელობას არაერთი თვითმხილველი ჰყავდა — ჩვეულებრივი გამვლელნი და მეზობლები, რომელთაც გამოძიებისთვის დახმარების გაწევის სურვილი თავად არ გამოუთქვამთ, თვით გამოძიება კი დიდად არც დაინტერესებულა ამ საქმის გახსნით. არადა, თვითმხილველთა პასიურობამ შესაძლოა მათივე სიცოცხლე იხსნა. 1996 წლის 13 ნოემბერს ციხის უფროსს მსჯავრდებულმა, ყოფილმა მხედრიონელმა ხაჟომიამ განცხადებით მიმართა. სადაც ვეფხვაძე-სვანაძის მკვლელობის ფაქტის შესახებ დაწვრილებით წერდა: — „..სვანაძის მანქანა ნახევრად ამობრუნებული იყო და მის წინ იდგა სამი პიროვნება, რომლებსაც ავტომატები ეჭირათ ხელში. სამი პიროვნებიდან ერთი იყო მაღალი, სუსტი, ეცვა შავი ფერის ტანსაცმელი, მეორე იყო საშუალო ტანის, ხოლო მესამეს ეცვა ჯინსის კურტკა და მუქი ფერის შარვალი. ისინი ჩემკენ მობრუნდნენ, რა დროსაც მე ისინი ვიცანი...“ მალხაზ ხაჟომიას ჩვენება იმით იყო გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი, რომ მან ერთადერთმა დაასახელა მკვლელების გვარები, მაგრამ ძალიან მალე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ციხეში, მკვლელები დაინახა და იცნო ვეფხვაძის მეუღლემ, ზაზა ვეფხვაძის დის განცხადებით, ჟორიკა რურუა გახლდათ... სხვა საქმეზე დაკავებულ ჟორიკას ვეფხვაძის და სვანაძის მკვლელობასაც ედავებოდნენ, მაგრამ ჯაბას „მოხერხებულობით“ ოთხმა მხედრიონელმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ მკვლელობის დღეს ჟორიკა ჯაბასთან ერთად ზუგდიდში იმყოფებოდა. რატომღაც პროკურატურამ „ალიბი“ სარწმუნოდ ჩათვალა და ეს საქმე შეჩერდა. რამოდენიმე წლის





წინ ოთხივე მხედრიონელმა დაწერა, რომ ცრუ ჩვენება ჯაბას თხოვნით მისცეს და სინამდვილეში რურუა ზუგდიდში არ ყოფილა...გასული საუკუნის ბოლოდან დაწყებული დღემდე, მრავალი თავისიანის თუ მტრის, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით მკვლელობა ბრალდებოდა ძმებ რურუებს. გიორგი ჭანტურიას მკვლელობაში ირინა სარიშვილიც ძმებს ადანაშაულებდა, 1995 წლის ტერაქტის შემდგომ ეძებდნენ ჟორიკას... 2000 წელს დავით კეკუა მყარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დიდი ხნით აპირებდა ჟორიკას იზოლირებას, მაგრამ მავანთა დახმარებით ცოტა ხნით, ორ წლამდე მოუწია თავისუფლების აღკვეთა. სახელმწიფოს სადავეები როგორც კი ხელთ ჩაიგდო მისმა ძმამ ნიკოლოზმა, დიდი ფიქრის გარეშე დააკავეს დავით კეკუა. მისი ავტომანქანის სადგომიდან და კაბინეტიდან ჩხრეკვის დროს გააქრეს „შავი ბლოკნოტები“ სადაც ღირებული ინფორმაცია ინახებოდა მკვლელ ძმებ რურუებზე და მათ „საძმოზე“. დავით კეკუას ფრიად საეჭვო სიკვდილში მისმა მეუღლემ, კამერების წინ დაადანაშაულა რურუები. თუმცა წლების გასვლის შემდეგ სამართლიანობის აღდგენა ღმერთს მიანდო... განუკითხაობა, უსამართლობა და ქაოსი მაშინ დაიწყო როდესაც ქვეყანას უცნობი მხატვარი და კანონიერი ქურდი მართავდნენ. უკანონო სამხედრო ფორმირებები სწორედ რუსული სპეცსამსახურების მიერ იმართებოდა და სწორედ მათ გამოზარდეს კაციჭამია ვირთხები. „მოსკოვებში“სხვებთან ერთად ნიკოლოზ რურუაც „დალივლივებდა“ ვიდრე ოკეანის გაღმა წავიდოდა ახალი „პატრონის“ და გვირგვინის მოსაძებნად... შემდეგ, დიდი მიხეილი მოგვევლინა „მხსნელად“ და ვინ გაბედავდა მისი იდეოლოგის, მრჩეველის და ზონდერბრიგადების დამფუძნებლის ნიკოლოზ რურუას და მისი ძმის ჟორიკას დადანაშაულებას? არადა, რამდენი დაზარალებული, წლებია ელოდება მკვლელების დასჯას... ამბობენ,



რომ „ბოროტების“ საძმოს ყოფილ წევრებს დიდიხანია ტკბილი და მურაბა ურთიერთობა აღარ აქვთ, მაგრამ ერთად დაღვრილი სისხლი მაინც აერთიანებთ, არავინ იცის ვინ, როდის ან რატომ ალაპარაკდება და უფსკრულისკენ ფეხდაცდენილი მთასვლელივით სხვებსაც ჩაიყოლებს და მერე მეტი „პოლიტპატიმარი“ ეყოლება ქვეყანას... აღსანიშნავია, რომ ჟორიკამ სასამართლოზე პროკურორს „ბოტასი“ აჩუქა. არ იქნებოდა ურიგო, მომდევნო პროცესზე, პროკურორს სათამაშო ავტომატი და „კანტროლკისთვის“ იარაღიც ეჩუქებინა. აღნიშნული ჟესტით, აშკარად ყოფილ მეგობარს „მიუმესიჯა“ რომელიც, მიხეილის ზეობის ხანაში მან ნიკოლოზთან ერთად პრეზიდენტყოფილს სამაგალითოდ „გააწეწინა“ ეტყობა, ზენიტში მყოფს არ ახსოვდა, რომ დრო, მუხთალი და ულმობელია! ტყვეობაში მყოფი „გმირი“ ეტყობა, ყველგან კუდებს ხედავს და ყველას თავის საზომით ზომავს... და ბოლოს, რურუას ტყვეობამ ნიღაბი ბევრს ჩამოხსნა. ასე, რომ უმოკლეს დროში, ყველას და ყველაფერს თავის სახელი დაერქმევა!







**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# „აჩრდილი დადის აშშ-ში, აჩრდილი კომუნიზმისა“

რასიზმის წინააღმდეგ დაწყებულმა ბრძოლამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლიტიკური ელფერი შეიძინა. მინიაპოლისში მომხდარი მკვლელობა, დემოკრატიულმა პარტიამ სცადა სათავისოდ გამოეყენებინა. მოკლული, ვინმე ჯორჯ ფლოიდის დაკრძალვის ხარჯები, სწორედ დემოკრატების მხარდამჭერებმა გაიღეს. სხვადასხვა დანაშაულებში ხუთჯერ ნასამართლევის ცხედარი ოქროსფერ კუბოში ჩაასვენეს, თეთრ ცხენებში შებმულ თეთრივე ლაფეტით გაასვენეს. ზოგიერთი „ჭირისუფლის“ მკრეხელობა ყოველგვარ ზღვარს გადასცდა — იგი იესო ქრისტესაც შეადარეს! კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსიმ თანაპარტიელებთან ერთად კონგრესის შენობაში ფლოიდის საპატივსაცემოდ მუხლი მოიყარა, თუმცა, ასაკოვან (იგი 80 წლისაა) პელოსის ადგომა გაუჭირდა, რისთვისაც სამი ადამიანის დახმარება დასჭირდა. უფრო მეტიც, გარდაცვლილ ფლოიდის ძმა კონგრესში მიიწვიეს და სიტყვაც ათქმევინეს. „... ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ჩემი ძმის სიკვდილმა უქმად ჩაიაროს“ — განაცხადა კონგრესის ტრიბუნიდან. კოლუმბიის უნივერსიტეტში კი დააწესეს მოკლულის სახელობის სტიპენდია?!

თავისთავად, ნებისმიერი ადამიანის სიკვდილი ტრაგედიაა, მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია მისი წარსული, დაღუპვის მიზეზი, გარემოება. ამერიკელი პოლიტოლოგები გაოცებას ვერ მალავენ — ჩვეულებრივი დამნაშავე ლამის ქვენის გმირად აქციესო. ამასთან აღნიშნავენ ფლოიდის დაკრძალვა გაცილებით პომპეზური იყო, ვიდრე 1963 წელს პრეზიდენტ ჯონ კენედის.



მსოფლიოში, განსაკუთრებით აშშ-ი რასიზმის პრობლემის არსებობაზე ბევრს საუბრობენ. შავკანიანი მოსახლეობის მასობრივ ჩაგვრას აშშ-ი, იქაური პოლიტოლოგები არ ეთანხმებიან, თუმცა, არსებულ ცალკეული შემთხვევების არსებობას ადასტურებენ. ამერიკელმა ექსპერტებმა გამოაქვეყნეს სტატისტიკური მონაცემები: აშშ-ის მოსახლეობის 13% შავკანიაინა. ქვეყანაში მომხდარი დანაშაულების 50%-ზე მეტი სწორედ მათზე მოდის. იმასაც ამბობენ, რომ მთელ რიგ ქალაქებში მაცხოვრებლებს, განსაკუთრებით თეთრკანიანებს სწორედ შავკანიანების ეშინიათ. ამიტომაც ამბობენ „...ადრე იყო თეთრი რასიზმი, ახლა შავი გახდა“.

ბოლო პერიოდში გააქტიურდა ე.წ. მოძრაობა „დაიჩოქე“. ამ ჟესტით ითხოვენ შავკანიანები თეთრკანიანებმა ბოდიში მოუხადონ მეცხრამეტე საუკუნემდე არსებული მონათმფლობელობის გამო. გავრცელდა კადრები, სადაც კარგად ჩანს შავკანიანთა ბრბომ როგორ დააჩოქეს თეთრკანიანი ქალები და აიძულეს ეკოცნათ ფეხსაცმელებზე. „...ახლა მუდამ ასე იქნება“ — ისმის ბრბოს შეძახილები. ამის გარდა, დარბეულ მაღაზიებში ტოვებენ წარწერებს „ბიზნესი შავკანიანებს ეკუთვნის“. ერთ-ერთი უნივერსიტეტის პროფესორი სამსახურიდან იმის გამო დაითხოვეს, რომ უცოდინარ შავკანიანებს დადებითი ნიშნები არ დაუწერა.

დაუსჯელობის სინდრომმა დაისადგურა აშშ-ი. ანარქისტებმა სიეტლში რამდენიმე კვარტალი დაიკავეს, მათ შორის ერთი პოლიციის შენობა. ქალაქის ცენტრი ბარიკადების ალყაშია, მოსახლეობა ქუჩაში ვერ გადის. შეიარაღებულმა ბანდამ დამოუკიდებელი, „ანარქისტთა კომუნა“ შექმნა. ამის გამო პოლიტოლოგებმა მარქსის გამონათქვამი გაიხსენეს და მცირე პერეფრაზიც შეიტანეს — „აჩრდილი დადის აშშ-ი, აჩრდილი კომუნიზმისა“ — სახუმაროდ ნამდვილად არ არის საქმე, რადგან გავრცელებული ინფორმაციით კიდევ რამდენიმე ქალაქში გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. სიეტლში განვითარებული მოვლენა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „შინაური ტერორიზმის გამოვლინებად“ შეაფასა. სხვათა შორის, სიეტლში დღესაც დგას ლენინის ძეგლი.

პოლიტოლოგები, მათ შორის ამერიკელები პირდაპირ ამბობენ, რომ აშშ-ი დაწყებულ აქციებს ჰყავს თავის რეჟისორი, შემთხვევით არ მომხდარა დარბევა — არეულობები. მინიაპოლისში მომხდარი მკვლელობა ტრამპის მოწინააღმდეგეებმა, განსაკუთრებით დემოკრატებმა სათავისოდ გამოიყენეს. არეულობის



მოწყობის წახალისებაში დემოკრატების მონაწილეობაზე ფაქტები მეტყველებენ. განსაკუთრებით მძაფრი მღელვარებები სწორედ იმ შტატებში და ქალაქებში მოხდა, სადაც სათავეში დემოკრატები არიან. თუნდაც იგივე სიეტლში. პოლიტოლოგების განცხადებით, ქაოსის მეშვეობით სურდათ დემოკრატებს ტრამპისთვის იმიჯის შერყევა. მათი სურვილი იყო, მოვლენების ისე წარმოჩენა, თითქოს თავად ტრამპი აპირებდა ფერადი (თუ შავ-თეთრი?) რევოლუციის მოწყობას, რაც არ გამოუვიდათ.

დღეს აშშ-ი აქტიურად დაიწყო ქვეყნის ისტორიის გადაწერა, დაიწყეს კონფედერანტთა და სხვა მოღვაწეთა ძეგლების დემონტაჟი. ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი ბრბომ წყალში გადააგდო! დემოკრატები კი მათ აქტიურად უჭერენ მხარს. ნენსი პელოსიმ გასულ კვირას კატეგორიულად მოითხოვა კონგრესის შენობიდან 11 სტატუის გატანა, მათ შორის აშშ-ის პირველი პრეზიდენტის ტომას ჯეფერსონის. აბრაამ ლინკოლნის, რომელიც ხალხთა მშვიდობიან თანაცხოვრების მომხრე იყო დამთავრებული სამოქალაქო ომის შემდეგ და ამისთვის ემსხვერპლა თეთრკანიანი შურისმაძიებლის ტყვიას... დღეს აშშ-ი უარს ამბობენ „ქარწაღებულის“ ჩვენებაზე, 8 ოსკაროსან ფილმის, რომელიც 1939 წელს არის გადაღებული.

არეულობების აგორების ძირითადი მიზეზი, პოლიტოლოგების შეფასებით, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებია. კორონა ვირუსის პანდემიის გამო შექმნილი პრობლემების მიუხედავად, გამარჯვების დიდი შანსი სწორედ დონალდ ტრამპს აქვს. დემოკრატებს ტრამპის მეორე ვადით გაპრეზიდენტობა სასტიკად არ უნდათ, რასაც არც მალავენ და ხმამაღლა აცხადებენ. ექსპერტების შეფასებით, დემოკრატებმა არეულობების მხარდაჭერით, თავად შეირყიეს იმიჯი. სავარაუდოდ, ამიტომაც განაცხადა ჯო ბაიდენმა, რომ არ აპირებს ცნოს არჩევნების შედეგები, რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს. „... თუ ტრამპი თავისი ნებით არ წავა, თეთრი სახლიდან ძალის დახმარებით გამოვიყვანთ“ — ამბობს ჯო ბაიდენი. ექსპერტების შეფასებით, დემოკრატები რასაც სხვა ქვეყნებში აკეთებდნენ (სხვადასხვა ფერადი რევოლუციები) იმავე მეთოდებით ცდილობენ ძალაუფლების ხელში აღებას.

ანალიტიკოსების შეფასებით, დემოკრატებმა აშშ-ი არეულობების მოწყობით დონალდ ტრამპს ხაფანგი დაუგეს. წესრიგის დასამყარებლად თუ ძალას გამოიყენებს, პირსისხლიანი დიქტატორის სახელს დაარქმევენ, თუ არა გაიზიარებს იმ პოლიტიკოსების ბედს, რომლებსაც მოუხდათ თანამდებობიდან წასვლა და სხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძებნა. (ისე, საინტერესო სანახავი იქნება აშშ-ის დევნილი ხელისუფლების ხილვა).

ატლანტაში პოლიციამ, დაკავების დროს გასულ კვირას კიდევ ერთი შავკანიანი მოკლა. შემთხვევა სწრაფი კვების რესტორანთან მოხდა, რასაც ტრადიციული საპროტესტო აქცია და დარბევა მოჰყვა. ცეცხლის ალში გაეხვა ის რესტორანი, რომლის სიახლოვესაც მოხდა ტრაგიკული შემთხვევა. გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანს, თუ როგორ უკიდებს ცეცხლს შენობას თეთრკანიანი ქალი, ისმის და ჩანს შავკანიანი ახალგაზრდების აღშფოთებული შეძახილები. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი ფაქტია, რომ დარბევა-არეულობებს ჰყავს თავისი რეჟისორები.

რას მოიმოქმედებს დონალდ ტრამპი ვითარების გასანეიტრალებლად უცნობია. გასულ ვირას, თავის დაბადების დღეს (73 წელი შეუსრულდა) შეხვდა სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებს. მისი განცხადებით, აშშ-ი უარს ამბობს მსოფლიო ჟანდარმობაზე, აღარ ჩაერთვება სხვა ქვეყნების დაუსრულებელ ომებში. კურსდამთავრებულებს მოუწოდა გადაერთვნენ ქვეყნის აღმშენებლობაში, გაერთიანდნენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. თავად დონალდ ტრამპმა განაახლა საარჩევნო კამპანია. მართალია, მას ახლა ვაშინგტონიდან გასვლას არ ურჩევენ, მაგრამ იგი უბრძოლველად არასოდეს ტოვებს „ბრძოლის ველს“. სავარაუდოდ, მას აქვს თავისი გეგმა, როგორ აღადგინოს წესრიგი ქვეყანაში.

აშშ-ის მსგავსი სიტუაციაა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით ბრიტანეთში ებრძვიან ისტორიულ ძეგლებს, პიროვნებებს. მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უძლიერესი და უდიდეს პოლიტიკოსის უისტონ ჩერჩილის ძეგლი შეღებეს და წააწერეს „რასისტი“. ლონდონში კვირას ერთბაშად ორი აქცია გაიმართა — ერთი ისტორიის დამცველების, მეორე მოწინააღმდეგეების, რაც ერთმანეთთან ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. პოლიციამ გაჭირვებით, მაგრამ შეძლო ვითარების განმუხტვა. ჯერ-ჯერობით სამყაროში ანარქიის ზეიმია და „ბრბოს კანონი“ მოქმედებს. ვნახოთ რით დასრულდება ქაოსი. ჩვენთვის მთავარია საქართველოს ხელისუფლება მზად იყოს უკვე მოსალოდნელი პროვოკაციების ასარიდებლად, რასაც აპირებს აქაური წამქეზებელი და უცხო ქვეყნებიდან მართული ე.წ. ოპოზიცია.




**გია ბურდული**
551 71 27 07

# სამში ერთი, ანუ ტყუილების შემგროვებელი „ჭუტავიზიიდან“



ნიკუტა, ჯულიეტოვიჩი და ნოდარიკო მელაძე — ეს სამი ისე ჰგავს ერთმანეთს, ერთი კაცის გაკეთებული გეგონება. სამივეს ერთნაირად აცვია, სამივე ერთნაირად პარჭყავს ხელებს, სამივე ერთნაირად ხვანცალებს, სამივე ერთნაირად იქნევს უკანალს და სამივე ერთნაირად ტყუის.

ამ სამიდან ერთმა, ნოდარიკომ, გადაწყვიტა იმ ორს გადაუჯოკროს და აგზავნის და აგზავნისმესიჯებს მთელი საქართველოს მასშტაბით: შაბათს ჩემი ჟურნალისტური გამოძიება გადის „ჭუტავიზიაში“ და თუ გინდათ ჭეშმარიტებას ეზიაროთ, არ გამოტოვოთ.

●

ორიოდე წლის წინათ სოფო ნიჟარაძემ თავის კუმირ მიხო სააკაშვილს ტელეფონით ამბავი მიუტანა, ნოდარიკო მელაძემ ისევ აუტანელი სუნი დააყენაო.

მაიცადეო, უთხრა მიხომ, ცოტა ხანში გვარამა ახალ არხს გახსნის, ნოდარიკო იქ უფრო ლაღად იქნება, დედებს უტირებს ქოცებსო.



გახსნა ჩაჯვი გვარამიამ ახალი საკანალიზაციო არხი, დასვა მელაძე ფილდკომანდერად, მაგრამ ჩემი ფეხები, ათი კაციც არ უყურებდა.

გაგიჟდა სოფიკო, ბოლოს და ბოლოს, ფეხმძიმედ ვარ, ყნოსვითი სისტემა მაქვს გაძლიერებული, ამან ხომ არ უნდა მომკლას და მომინელოსო?!

რა იყო, რა მოხდაო? იკითხა მიხომ ვეებერთელა კევი ჩაიდო პირში საღლაჭუნოდ.

რა იყო და... შენმა ნოდარიკომ ისევ გააფუჭა ჰაერიო.

კაი, შენ შემოგევლოს ჩემი გოდორივით თავი, ოღონდ შენ ნაყოფს გაუფრთხილდი, მე ვიცი და ჩემმა კაცობამაო. გადმორეკა მიხომ წერეთლებში, ჭუტა მოიკითხა, რასა იქმ, როგორ მიათრევ ამ გაჭირვებულ ცხოვრებას, რანაირად უძლებ ივანიშვილის დემონურ გამოხტომებსო? ამან, ამ ჭუტამ იკვნესა, იშავდღევა, კალთები ჩამოიგლიჯა, კიკინები გაიშალა, ყველა ორგანო აიტკივა, დღეს ისე გვჭირდები, ვით დაჭრილ ირემს წყარო ანკარაო.

შენ ხომ იცი, ბებიაჩემი მზიაც წერეთელი რომ იყოვო? შეაპარა მიხომ აწუწუნებულ ჭუტას. ჰმ, რას ჰქვია, არ ვიცი, შენ ნახევარი წერეთელი ხარ, ფაქტობრივად ნათესავად მომხვდებიო.

ჰოდა, ნათესავად რომ მოგხვდები და მტერიც ერთი გვყავს, რასაც გეტყვი, იმას გააკეთებო.

ხოხ, ოღონდ შენ დამავალე, ჩემი კისერი და შენი ხმალიო, ცქვიტა ყურები ჭუტამ და კევის ჭლაჭუნს უფრო მოუმატა.

ნოდარა მელაძეს გადაიყვან შენს ტელევიზიაში და ფილდკომანდერად გააფორმებ, მაგან იცის, როგორ გასვაროს ყველა და ყველაფერი, როგორ აამყრალოს სიტუაციებიო.

ვააა, ტოოო, მაგას მეც ვფიქრობდი, მაგრამ ხმა ვერ მოგაწვდინე, ხო იცი, მე ერთი პატარა კაცი ვარ, თუთუნის ნაცვლად ბალახს ქაღალდში ვახვევ და ვყიდიო. გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ განა წერეთელი თუთუნს უნდა ახვევდესო? დაიწყო წუწუნი ისევ ჭუტამ.

ბოლოსდაბოლოს, ბატონი ჭუტა და ბატონი მიხო შეთანხმდნენ, რომ ნოდარიკო მელაძე გახდებოდა „ტვ პირველის“ ფილდკომანდერი, ანუ ტყუილების შემგროვებელი და გამავრცელებელი.

გოდერძი ჩოხელს აქვს ერთი კარგი მოთხრობა - „ადამიანთა სევდა“, ანუ „დარდების შემგროვებელი“, სადაც აღწერილია, თუ როგორ დადის გამიხარდაი გუდამაყარში და როგორ აგროვებს დარდებს. აი, ნოდარაიც აგროვებს, ოღონდ ამისთვის გამოყოფილი ჰყავს ვინმე ეკო მაღრაძე, რომელიც ხან ვის უვარდება სახლში, ხან - ვის. თვითონ ნოდარაი არ დადის, ის უბრალოდ ზის და ფილდკომანდერობს, ოღონდ თავისუფალი სიტყვის სახელით.



შემდეგ მელაძე გამოდის ტელევიზორში და გეგონება ნამდვილიაო, ისე ასაღებს. ამ „დარდებს“ უფრო მეტი დამაჯერებლობა რომ შესძინოს, პირდაპირ ეთერში მთელი ორგანიზმით იპარჭყება, ხელებს უცნაურად ხლართავს და თან გასათხოვრად გამზადებული ქალიშვილივით დაიკვანწება.

●

ჩვენში დარჩეს და... ჩაჯვი ნიკოს მოწაფეს, ჩასვრილ ნოდარას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დავალება აქვს მიცემული... მან „ჭუტავიზიიდან“ უნდა გაუშვას ყველა, ვინც აწყვეტილი კი არის, მაგრამ პერიოდულად მაინც დაფიქრდება ხოლმე იმაზე, თუ რა ნეხვში აქვს თავი გაყოფილი. შეიძლება არც დაფიქრდება ხოლმე, უბრალოდ ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები თუ ოჯახის წევრები ეუბნებიან, რას დაგამსგავსა წყეულმა სააკაშვილმა ნოდარას ხელითო. არსებობს მესამე ვარიანტიც - „ჭუტავიზიაში“ კი იდგა აუტანელი სუნი, მაგრამ მელაძემ იმნაირი სუნი დააყენა, იქ გაჩერება, რაც არ უნდა სულწაწყმედილი იყო, მაინც გაგიჭირდება.

ჰოდა... ე.წ. პირველი მერცხალი, ვინც სუნი ვეღარ აიტანა, ინგა გრიგოლია იყო, ის უკვე გადადგა დირექტორ-მენეჯერობიდან. მართალია, იძახის, უფრო მეტი დრო მექნება და უფრო ენერგიულად ვიმუშავებო, მაგრამ ეგ მორიგი ზღაპარია, ნოდარა მიხედავს მაგ საკითხს.

ასევე, ამბობენ კი არა და... უკვე გაცხადდა, „ჭუტავიზიიდან“ წავიდნენ ვახო სანაია და ნინო ჟიჟილაშვილი და დიანა ტრაპაიძე. ეგრეა, ტელევიზია, რომელიც კრიმინალის დაფარვის მიზნით არის შექმნილი, დიდხანს ვერ იარსებებს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს წინასაარჩევნო გადათამაშება, მაგრამ სანაიამ მაინც დაწერა, აქ ჰაერი აღარ არისო. ეჰ, ვახოჯან, ჰაერი კი არა, მანდ უკვე ყარს ყველაფერი, სოფლის უბორნიიდან გამოსული „სურნელით“.

ბუნებას აქვს თავისი კანონები, რამდენიც არ უნდა ეცადოს თაღლითი მაიმუნი, ის ვერასდროს გახდება „სვინდისისა“ და პატიოსნების სიმბოლო... შეიძლება ჩვენ რაღაცები გვავიწყდება, მაგრამ ბუნება არაფერს ივიწყებს. წარმოგიდგენიათ? მეთუთუნე ავთო წერეთელმა, რომელიც მამუკა ხაზარაძესთან ერთად ფულის გათეთრებაშია ეჭვმიტანილი, გააკეთა ტელესტუდია და იქიდან მელაპარაკება სინდის-ნამუსზე, გაჭირვებასა და ქვეყნის აღმშენებლობაზე. საქართველოში ბავშვები შიმშილობენო, მეუბნება ხოლმე მილიონერი „ჭუტა“ ყოველ საღამოს ვიღაცების პირით და თან ლანძღავს კაცს, რომელსაც ქვეყანაში 3 მილიარდი დოლარი აქვს დახარჯული. ამან, ამ მილიონერმა რამდენი დახარჯა? არც ერთი თეთრი, არც ერთი „კაპეიკი“, დადის სასამართლოებში ამხელა კაცი კევის ღლაჭუნით და იძახის: მე ფული გავასესხე, ტოოო! შე ასეთო და ისეთო, თუკი ბავშვებზე შეგტკივა გული, რომლებიც თურმე შიმშილობენ, რაღა მამუკა ხაზარაძეს აძლევ 17 თუ 19 მილიონს (გეგონება არ ეოხროს), წადი და დააპურე, ქვრივ-ობლებს დაურიგე, მარტო ბიძინა ივანიშვილია ვალდებული, მოსახლეობას მიხედოს?

თუმცა, ჰო... ესენი ხომ უბრალოდ დიდი მამულიშვილები არიან? ესენი ხომ უბრალოდ თავისუფალი სიტყვის ქომაგები არიან? ესენი ხომ უბრალოდ სიმართლის მსახურნი არიან? გაგეცინათ, ხომ? ამას წინებზე ერთი „ნაციონალი“ მეპრანჭებოდა „ჭუტავიზიის“ ეკრანიდან, ჩემს მეზობლად გუშინ ადამიანი მოკვდა შიმშილითო. გაიგონეთ? ჩემს მეზობლადო, გუშინო, მოკვდაო, სული დალიაო. შე დამპალი თესლიდან აღმოცენებულო, თუ ხედავდი, შენს მეზობლად ადამიანი შიმშილობდა და არ მიხედე, ვინ ხარ, რას მელაპარაკები, აქეთ რას მამუნათებ?!

ამ ქვეყნის ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, მეგობრებო, რომ ბოზები პატიოსნებაზე გველაპარაკებიან, ტარტაროზები - სულიერებაზე, სულწაწყმედილები - პატრიოტობაზე, უწიგნურები - სიტყვის თავისუფლებაზე.

ნოდარიკო ყველა გადაცემას საგამოძიებო ჟურნალისტიკის შესახებ მოკლე ლექციით იწყებს და იქვე ამატებს როგორი უშიშარი რაინდია თვითონ, როგორ ებრძვის, ხაზინის ქურდებს, კორუმპირებულებს, ყაჩაღებს და კრიმინალებს, როგორ გვიცავს ჩვენ, ქვეყნის მოსახლეობას და როგორ წირავს თავს ჩვენს გამო.

ისემც შენ დაგასხი თავსლაფი მაგ გაბურძგნულ წვერ-ულვაშზე, შე გათახსირებულო ნოდარიკო, რაც შენ გმირი არ იყო.

გმირი კი არა მათხოვარი ხარ შენ, ჩვეულებრივი მონა ხარ, ვიღაც-ვიღაცების დაკვეთას რომ ასრულებ და ასრულებ ისე, უნიჭოდ და არაპროფესიონალურად, რომ მალე ჭუტას „ტელეუბორნიიდანაც“ გამოგაგდებენ.





**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# როგორ შევქმნათ ადამიანისგან „არაადამიანი“, ანუ ადამიანის ჭამა, როგორც ნორმა

## გთავაზობთ ნიკიტა მიხალკოვის საავტორო გადაცემა „ბესოგონის“ ავტორიზებულ თარგმანს



**„მე თქვენ დაგპირდით, რომ გიამბობდით იმ შეჩვევის/შეგუების ტექნოლოგიის შესახებ, რასთან შეჩვევა/შეგუებაც (როგორც ჩვენ გვგონია), შეუძლებელია. იმ ტექნოლოგიის შესახებ, რომლის საშუალებითაც ადამიანის ცნობიერებაში იმის ჩანერგვა ხდება, რისი ჩანერგვაც, როგორც ჩვენ გვეჩვენება, შეუძლებელია. ამას „ოვერტონის ფანჯარა ჰქვია“, — ასე იწყებს გადაცემას ნიკიტა მიხალკოვი და განაგრძობს:**

„ჯოზეფ ტ. ოვერტონი (1960-2003) — საზოგადოებრივი პოლიტიკის ცენტრის უფროსი ვიცე-პრეზიდენტი. იგი ავიაკატასტროფაში დაიღუპა და ამ სისტემას მისი გარდაცვალების შემდეგ ეწოდა მისი სახელი — „ოვერტონის ფანჯარა“.

„ოვერტონის შესაძლებლობების ფანჯრის“ თანახმად, ყოველი იდეის განსახორციელებლად ან ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად, საზოგადოებაში არსებობს ე.წ. „შესაძლებლობების ფანჯარა“. ამ „ფანჯრის“ ფარგლებში იდეა შეიძლება ფართოდ ან განიხილებოდეს ან არ განიხილებოდეს, შეიძლება მას ღიად დაუჭირონ მხარი ან პროპაგანდირება გაუწიონ, შეეცადონ მის საკანონმდებლო ჩარჩოში მოქცევას. „ფანჯარას“ უამრავი შესაძლებლობა აქვს — მას შეუძლია ნებისმიერი იდეა „შეუძლებლის“ სტადიიდან, ე.ი. საზოგადოებრივი მორალისთვის სრულიად მიუღებლიდან, სრულიად უარყოფილიდან, „პოლიტიკურად აქტუალურობის“ სტადიამდე, ე.ი. იმ სტადიამდე მიიყვანოს, როცა ის უკვე ფართოდ განხილული, მასობრივი ცნობიერებით მიღებული და კანონით გამყარებული იქნება.

კანიბალიზმის თემა გულისამრევი და საზოგადოებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ამ თემაზე მსჯელობა არასასურველია არც პრესაში, არც, მით უმეტეს, წესიერ კამპანიაში. ასე არ არის? შესაბამისად, „ობერტონის ფანჯრის“ პირველი მოძრაობაა, კანიბალიზმის თემა გადავიდეს „შეუძლებლიდან“ „რადიკალურში“.

ჩვენთან ხომ სიტყვის თავისუფლებაა? ჩვენთან ხომ დემოკრატიაა? მაშ, რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ კანიბალიზმზე?

„ოვერტონის ფანჯრის“ პირველი მოძრაობის შედეგი არის ის, რომ მიუღებელი თემა ბრუნვაში ჩაეშვა, მოხდა ტაბუს დესაკრალიზება, დაინგრა პრობლემის ერთმნიშვნელოვნება — შეიქმნა „ნაცრისფერის გრადაციები“.

ახლა შემდეგი ნაბიჯი. „ფანჯარა“ მოძრაობს და კანიბალიზმის თემა რადიკალურიდან დასაშვებ პოზიციაზე გადადის. ამ სტადიაზე ვაგრძელებთ მეცნიერების ციტირებას — ხომ არ შეიძლება ზურგი შევაქციოთ კანიბალიზმის შესახებ ცოდნას? მას კი, ვინც ამ თემაზე საუბარზე უარს იტყვის, თვალთმაქცისა და ფარისევლის იარლიყი უნდა მიეწებოს. თვალთმაქცობის გაკიცხვისას აუცილებლად უნდა იყოს მოფიქრებული კანიბალიზმისთვის რაიმე ელეგანტური დასახელება. ...და აღარ არის კანიბალიზმი... ახლა მას ანტროპოფაგია ეწოდება. მაგრამ სულ მალე ამ ტერმინსაც სრულიად ახალი სახელი შეცვლის, რადგან ეს დასახელებაც უკვე შეურაცხმყოფელად მიიჩნევა.

ახალი სახელების დარქმევის მიზანი პრობლემის არსის მისი განსაზღვრებიდან გადატანაა, სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის გაცალკევება, საკუთარი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეებისთვის სალაპარაკო თემის წართმევა. კანიბალიზმი ანტროპოფაგიად გადაიქცევა, შემდეგ ანტროპოფილიად შეიცვლება, ისევე, როგორც დამნაშავე იცვლის გვარებსა და პასპორტებს.



სახელებით თამაშის პარალელურად ხდება დასაყრდენი პრეცედენტის შექმნა — ისტორიულის, მითოლოგიურის, აქტუალურისა თუ, უბრალოდ, გამოგონილისა, მაგრამ მთავარია, რომ ის ლეგიტიმირებული იყოს.

მას შემდეგ, რაც წარმოდგენილია ლეგიტიმირებული პრეცედენტი, ჩნდება შესაძლებლობა, „ოვერტონის ფანჯარა“ გადაადგილდეს „შესაძლებლის“ ტერიტორიიდან „რაციონალურის“ მიმართულებით.

ეს მესამე ეტაპია. აქ სრულდება ერთიანი პრობლემის დანაწევრება.

„ადამიანის ჭამის სურვილი გენეტიკურად დევს ადამიანის ბუნებაში“; „ზოგჯერ ადამიანის ჭამა აუცილებელიცაა, არსებობს გადაულახავი გარემოებები“; „ანტროპოფილები პროვოკაციაზე წამოეგენ!“; „აკრძალული ხილი ტკბილია“; „თავისუფალ ადამიანს უფლება აქვს, ჭამოს ის, რაც მას უნდა!“; „ნუ დამალავთ ინფორმაციას და ყველამ გაიგოს, ვინ არის.

პოპულარიზაციის ერთ-ერთ სახეობას „მიმოიხედე გარშემო“ ჰქვია!

„რა, თქვენ არ იცოდით, რომ ერთი ცნობილი კომპოზიტორი... ისა.. ანტროპოფილი ყოფილა?“; „ერთი ყველასთვის ნაცნობი პოლონელი სცენარისტი მთელი ცხოვრება ანტროპოფილი იყო, ამის გამო თურმე კიდეც სდევნიდნენ მას“; „ეს საშინელებაა, საით იყურება დემოკრატია?“; „თქვენ რომ იცოდეთ, რამდენი მათგანი იჯდა საგიჟეთში. რამდენი გაასახლეს, რამდენს ჩამოართვეს მოქალაქეობა“ ჰო, მართლა, ლედი გაგას ახალ კლიპზე — “Eat me, baby”-ზე რას იტყვით?“

დასამუშავებელი თემა ამ ეტაპზე ტოპში შეჰყავთ და ის იწყებს მედიასაშუალებებში, შოუ-ბიზნესსა და პოლიტიკაში ავტონომიურად ბრუნვას. მისი (კანიბალიზმის) ლეგალიზაციის მომხრეთა გასამართლებლად იყენებენ დამნაშავეთა გაადამიანურების მეთოდს, ქმნიან მათგან დადებით სახეებს დამნაშავესთან შეუსაბამო დახასიათების შექმნის გზით. მაგალითად: „ესენი ხომ შემოქმედებითი ადამიანები არიან“; „დიდი ამბავი, ცოლი თუ შეჭამა“; „მათ გულწრფელად უყვართ თავიანთი მსხვერპლი“; „თუ ჭამს, ე.ი. უყვარს“; „ანტროპოფილები თვითონ არიან მსხვერპლები, ისინი ცხოვრებამ აიძულა“; „ისინი ასე აღზარდეს“...

ასეთი ჩახლართული გამონათქვამები თოქ-შოუების მთავარი მარცვალია.

„ჩვენ გიამბობთ სიყვარულის ტრაგიკულ ამბავს! მას (მამაკაცს) უნდოდა მისი (ქალის) შეჭმა. მას კი (ქალს) უნდოდა, რომ ის მამაკაცს შეეჭამა. ვინ ვართ ჩვენ, რომ ისინი განვსაჯოთ? იქნებ, ეს სიყვარულია? თქვენ ვინ მოგცათ უფლება, სიყვარულს გზაზე გადაეღობოთ?“ — აქ ისევ წყვეტს ციტირებას „ბესოგონის“ ავტორი და კითხულობს: „ბევრ რამეს გაგონებთ, არა?“.

საზოგადოებრივ ცნობიერებაში შეჰყავთ ახალი დოგმა — **ადამიანის მიერ ადამიანის ჭამის აკრძალვის აკრძალვა**! ეს ლიბერალიზმის საფირმო კერძია. ტოლერანტობა, როგორც ტაბუს აკრძალვა, აკრძალვა საზოგადოებისთვის დამღუპველი გადახრების შესწორებისა და მათი თავიდან აცილება.

ასე იყო პედერასტიის ლეგალიზაციის დროსაც (ახლა ისინი მოითხოვენ, რომ მათ „გეები“ დაუძახონ). ახლა, ჩვენს თვალწინ, ევროპა ინცესტისა და ბავშვთა ევთანაზიის ლეგალიზებას ახდენს.

ოვერტონის მიერ აღწერილი „შესაძლებლობების ფანჯარა“ ყველაზე ადვილად ტოლერანტულ საზოგადოებაში „მოძრაობს“. იმ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს იდეალები და, როგორც შედეგი, არ არსებობს მკვეთრი გამყოფი სიკეთესა და ბოროტებას შორის.

თქვენ იმაზე გინდათ საუბარი, რომ დედათქვენი ბოზია? გინდათ ამის შესახებ დაბეჭდოთ წერილი ჟურნალში? სიმღერა იმღეროთ? ბოლოსდაბოლოს, დაამტკიცოთ, რომ ბოზობა ნორმალური და, აუცილებელიც კია? სწორედ ეს გახლავთ ზემოთ აღწერილი ტექნოლოგია, რომელიც ყველაფრის ნებადართულობას ეფუძნება. არ არსებობს ტაბუ; არ არსებობს არაფერი წმინდა; არ არსებობს საკრალური ცნებები, რომელთა თვითგანსჯა აკრძალულია და მათი სიბინძურეში ამოსვრა დაუყოვნებლივ აღიკვეთება.

ეს ყველაფერი არ არსებობს. მაშ, რა არსებობს?

არსებობს ე.წ. სიტყვის თავისუფლება, რომელიც „გაარაადამიანურების“ თავისუფლებად არის ქცეული. ჩვენ თვალწინ, ერთმანეთის მიყოლებით იმსხვრევა ჩარჩოები, რომლებიც საზოგადოებას უფსკრულისგან და თვითგანადგურებისგან იცავდა. ახლა გზა იქითკენ ხსნილია. შენ ფიქრობ, რომ მარტო ვერაფერს შეცვლი? სრულიად მართალი ხარ. მარტო ადამიანს არაფერი შეუძლია, მაგრამ პირადად შენ ვალდებული ხარ, ადამიანად დარჩე. ადამიანს კი ნებისმიერი პრობლემის გადაჭრა შეუძლია და რასაც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს, იმას გააკეთებენ ის ადამიანები, რომლებიც ერთი იდეის ქვეშ გაერთიანდებიან. მიმოიხედე გარშემო!“

რა არის ეს? კარგი, დავუშვათ, რომ ეს გადახრაა, რაღაც სისულელეა, მაგრამ, რაც დღეს ხდება, ეს ხომ სისულელე არ არის? ერთსქესიანთა ქორწინება სისულელე არ არის, არც ნომერი პირველი და ნომერი მეორე მშობელია სისულელე!

არც ის არის სისულელე, რომ ციხეში ჩასვა პატარა გოგონას მამა, რომელმაც სკოლაში სექსოლოგიის გაკვეთილი გააცდინა; მამა, რომელმაც ჯარიმა არ გადაიხადა. ბავშვმა განა გერმანული ლიტერატურის ისტორის, არითმეტიკის ან ბოტანიკის გაკვეთილი გააცდინა, არამედ სექსოლოგიის გაკვეთილი, რადგან ეს მისთვის შოკი იყო. მამა ამის გამო ციხეში ჩასვეს. ეს ცარიელი სიტყვები არ არის“.

მე მეჩვენება, რომ ჩვენ ეს უნდა ვიცოდეთ და ამაზე რეაგირება მოვახდინოთ. ჩვენ უნდა შევეწინააღმდეგოთ ამას. თუ ამ ყველაფერს მხოლოდ შევიცხადებთ და არაფერს გავაკეთებთ, იმ მანქურთებად ვიქცევით, ვინც ადამიანების ჭამისკენ მოგვიწოდებს. მე მეჩვენება, რომ რეალური ფხიზელი ხედვა უნდა გვქონდეს და ვიმოქმედოთ. მოქმედება ერთადერთია, რასაც ჩვენი, ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების დაცვა შეუძლია. დავიცვათ ის ყველაფერი, რაც საუკუნეების განმავლობაშია დაგროვდა ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში, ვიმოქმედოთ თვითგადარჩენისთვის.

გემშვიდობებით იმ იმედით, რომ ჩემი ნათქვამი გაგებული იქნება...“ — ამ სიტყვებით ასრულებს „ბესოგონის“ მორიგ გამოშვებას მისი ავტორი ნიკიტა მიხალკოვი.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983